

1947

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



№ 6

ბ. ნ. ნ. ნ. ნ. ნ. ნ. ნ. ნ.



# პიონერი

საპარტვილოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

**Пионери**

Ежемесячный детский журнал  
Центрального Комитета  
ЛКСМ Грузии

(на грузинском языке)

№ 6


ივნიანი

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:

თბილისი ლენინის ქ., № 28,

ტელეფონი № 3-81-85



უკვე დაცხა.

მოვიდა ზაფხული თავის მზიანი დღეებით და ვარსკვლავებიანი, თბილი ღამეებით. ჩვენს ეზოებში, ბოსტნებსა და სათიბებში თვალის დამატკობლად გამოჩნდნენ ციციანათელები.

სკოლებში გამოცდები დასრულდა. დაიწყო საზაფხულო არდადეგები. ბევრი პიონერ-მოსწავლე წარმატებით გადავიდა შემდეგ კლასში. მოშობლები და აღმზრდელები გაახარა თავისი წარჩინებით. წარჩინებულთათვის ზაფხული მეტად საამოა. ახლა ისინი ემზადებიან კულტურული დასვენებისათვის. ამისთვის მათ ყველა ეხმარება: მოშობლები, სკოლა, სახელმწიფო.

ბევრი პიონერ-მოსწავლე პიონერთა ბანაკებში მიდის.

ქალაქებში მყოფნიც კულტურულად დაისვენებენ: მათთვის ხშირად მოეწყობა ბაღებსა და პარკებში სხვადასხვა ხალისიანი გასართობები.

სოფლებში დამსვენებელი პიონერ-მოსწავლეები თავისებურ წვლილს შეიტანენ ხალისიან საკოლმეურნეო საქმიანობაში, თანაც ბევრ სასარგებლო ცოდნას მიიღებენ ჩვენი შრომისმოყვარე გლეხობისაგან.

ბევრი წარჩინებული პიონერ-მოსწავლე ემზადება სამოგზაუროდ მოშობლიურ მხარეში. მათ წინ გრძელი გზა იშლება მოსალოდნელი სათავგადასავლო ამბებით. ამ გზის გავლა თითოეულ პიონერისათვის სასიამოვნო იქნება: ისინი მეტად საინტერესო ადგილებს ნახავენ და შეისწავლიან. მათი რვეულები აივსება საგულისხმო ჩანაწერებითა და ნახატებით

ყველა პიონერ-მოსწავლე ხალისიანად გაატარებს ზაფხულს და შემატებული ძალ-ღონით დაუბრუნდებიან საყვარელ სკოლას.

# ბელადის სურათთან

ფიქრობ, რატომ არ შეგეძლო  
არწივივით ცაში ფრენა,  
ფიქრობ, რატომ არა გქონდა  
მკლავში ძალა იმოდენა,  
რომ პატარას შეგძლებოდა  
ომში თავის გამოჩენა!

ფიქრობ და ჩვენს დიდ მამასთან  
მოკრძალებით მიხვალ ისევ,  
შემოგცინებს თვალი მისი,  
სიბრძნის ცეცხლით მოგიზგიზე,  
შემოგცინებს ვით სიცოცხლე,  
გმირობა და სიხალისე.

უმზერ ბელადს და გილელავს  
გული გრძნობით ანაძგერი...  
დიდი მამა მეოცნებეს  
სიყვარულით თავს დაგცქერის  
და ღიმილით ასე ამბობს:  
— შვილო, მოვა შენი ჯერიც!

თუ გსურს იყო სანაქებო,  
თუ გსურს გახდე ქვეყნის გმირი,  
ჯერ სწავლაში მასახელე;  
შრომაშიაც გქონდეს წილი,  
გამეზარდე დიდი ბიჭი  
და სამშობლოს კარგი შვილი!

თაიფაკა ჯანგულაშვილი



4338



# შენ რადგან შუამდგომლობ!

მ ა თ ხ რ ო ბ ა

სკოლის დერეფნის კუთხეში ფანჯარასთან მდგარი დაფიქრებული ბიჭუნა ყურთან ფუტკრის ტკბილმა ბზუილმა გამოარკვია, უნებლიეთ ხელი გაიქნია. ნაავადმყოფარს სახეზე ყვითელ-მწვანე ფერი დასდებოდა. დაღონებულმა ბიჭუნამ ამოიოხრა და ფანჯრის რაფას დაეყრდნო.

— პეტა, ეს შენ ხარ?! — მოისმა გრძელსა და ოღნავ ჩაბნელებულ დერეფანში. ყმაწვილმა მოიხედა, მეგობრის ხმა იცნო. მისკენ მზიარული, კოხტად ჩაცმული ბიჭუნა მოიჩქაროდა. მოსულმა მაშინვე იკითხა: — ცუდად ხომ არა ხარ, რათა ხარ ეგრე დაღონებული?!

— არა, სოსო! ახლა არა მიშავს... — გაუღიმა ყმაწვილმა მეგობარს, — ზედამხედველთან ვიყავი, საგაზაფხულო გამოცდებიდან განთავისუფლება და შემოდგომაზე გადატანა ვთხოვე. შევეცოდე ნაავადმყოფარი, მაგრამ უარი მითხრა: ვერ გაგათავისუფლებ, ასეთი შემთხვევა სასწავლებლის დებულებით გათვალისწინებული არ არისო. რა გაეწყობა! ერთი წელი მეკარგება! ძნელი შესარიგებელია, მაგრამ მეტი გზა არ არის!

— მერე რა, სულ ესაა?! ნუ ჯავრობ პეტა, რამე საშუალება გამოენახო. წამოდი ბელიავეთან, მე ვთხოვ და დავუმტკიცებ, რომ შენი გაყვანა გამოცდებზე შეუძლებელია, თანაც ვეტყვი, რომ თამამად შესძლებ შემდეგს კლასში მეცადინეობას.

— არაფერი გამოვა, უარს გვეტყვის!  
— არა, ეგრე არ ივარგებს, წამოდი ახლავე!

სოსომ მკლავში ჩაავლო ხელი მეგობარს, ზედამხედველის კაბინეტთან მიიყვანა, კარებში შეუძღვა და უთხრა:

— შემოდი!  
მაგიდასთან იჯდა ფართო, სანდომიანი სახის კაცი. ქალღმერთებზე იდაყვდაყრდნობილს ხელი შუბლზე მიედო. კარის ხმაურზე თავი მალლა ასწია და ყმაწვილებს გაუღიმა.


— ბატონო ზედამხედველო, — დაიწყო მისალმების შემდეგ სოსომ და ღრმა, გონიერი თვალები თვალში გაუყარა უფროსს, — კაპანაძე კარგი მოწაფეა, კარგად სწავლობს. მან ხანგრძლივად იავადმყოფა, დიდი ხნით იყო ლოგინად ჩავარდნილი, ტყირპი აქვს დაავადებული. ძალიან გთხოვთ, შეხვიდეთ მის მდგომარეობაში და გაათავისუფლოთ გამოცდებიდან!

ზედამხედველი ყურადღებით უსმენდა ბიჭუნას. სათნო სახე გაუბრწყინდა, მას განსაკუთრებით უყვარდა ნიჭიერი შეგირდები. როცა ზრდილი, ჰკვიანი მოსწავლე უპასუხებდა, სახე სიამოვნებით გაებაღრებოდა. ზედამხედველი ღინჯად წამოდგა. მალალი და წარმოსადეგი ტანის კაცი იყო. გაშლილი თითებით გრძელი წვერები ჩამოივარცხნა. კვლავ იღიმებოდა, ახლოს მივიდა ყმაწვილებთან, მთხოვნელს გიშრისფერ, ლამაზად დეარცხნილ თმაზე ხელი გადაუსვა და ტკბილი ხმით სთქვა:

— შენ რადგან შუამდგომლობ, ჯულაშვილო, კარგი, გაგათავისუფლებ კაპანაძეს გამოცდებიდან!

ყმაყოფილმა ბიჭუნებმა ერთმანეთს გადახედეს.

— გმადლობთ, ვასილი აკინფიევიჩი, — თავი დაუკრა სოსომ და წასასვლელად მოტრიალდა.



— გმადლობთ, ბატონო ზედამხედველო! — გაიმეორა პეტამ.

სიხარულით ფრთაშესხმული ყმაწვილები დერეფანში გამოვიდნენ.

ყმაყოფილმა სოსომ ალტაცების გამოსახატავად, ჩვეულებისამებრ, ცერი და შუათითი მაგრად შეაერთა, გაატკაცუნა და მარჯვენა ფეხის ქუსლზე შემოტრიალდა.

— ესეც ასე, ხომ გაიჩარხა საქმე, პეტა! ახლა სოფელში წადი, დაისვენე. შემოდგომაზე კი ერთად შევეუტიოთ სწავლას!

პეტამ ხელი გადახვია მეგობარს.

— სოსო, შენ ჩემი ძმა ხარ. შენ თუ არა, მე ვერაფერს გავაწყობდი. მაგრამ ერთი ეს მითხარ, ტყირპის სახელი რუსულად საიდან იცოდი?! მე დღეს პირველად გავიგონე იგი და ისიც შენგან... სოსოს გაცვინა.

— ეგ არაფერი, ჩემო პეტა! მთავარი ისაა, იმედი არ დაჰკარგო ამ ქვეყნად და ადამიანი — მეგობარი გიყვარდეს. ხომ იცი, რა უთქვამს რუსთაველს: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირის არ დამრიდად“.

— ვიცი, ჩემო სოსო! იქვე ხომ ესეც სწერია: „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“! — დაუმატა პეტამ.

ხელიხელჩაკიდებულნი მხიარული ყმაწვილები მეგობრული საუბრით სასწავლებლის შენობიდან კარში გამოვიდნენ. ნააფადმოფარმა პეტამ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ლაქვარდში მერცხლები ელურტულებდნენ და ბაღში ატამი და ალუბალი ყვოდა.



# ექვსი წელი ვ. ი. ლენინთან



ვ. ი. ლენინის ზიზადი შოფრის მოგონება \*

## პირველი ხელისჩამორთმევა

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს მე პირველად შეეხვდი და პირადად გავეცანი ოქტომბრის გადატრიალების მესამე დღეს—1917 წლის 9 ნოემბერს.

აი როგორ მოხდა ეს.

მე ვმუშაობდი პეტროგრადში ერთ-ერთ დიდ გარაჟში. საღამოთი, 8 ნოემბერს, გამომიძახეს გარაჟის მუშაკთა პროფესიულ ორგანიზაციაში და მითხრეს:

— ამხანაგო გილ, ამოარჩიე შენს გარაჟში ყველაზე უკეთესი მანქანა და დილით წადი სმოლნში. ამხანაგ ლენინის შოფრად იმუშავე.

მოულოდნელობისაგან ენა წამერთვა. ლენინის სახელი მაშინ ყველას პირზე ეკერა. პიტერის მუშები, რომელთაც ბედნიერება ჰქონდათ მოესმინათ ან ენახათ ლენინი, სიამაყით ლაპარაკობდნენ ამაზე, როგორც უდიდეს მოვლენაზე თავიანთ ცხოვრებაში. და უეცრად მე, უპარტიოს, ლენინის შოფრობას მაქისრებდნენ!

— მაშ, როგორ, თანახმა ხარ?—შემეკითხნენ, როდესაც დაინახეს ჩემი შემფოთება.

— რასაკვირველია, თანახმა ვარ!—ვუპასუხე, თუმცა ეჭვით ვიყავი შეპყრობილი: გავართმევ თავს? ისეთ საქმეს ხომ არ ვკიდებ ხელს, რაც ჩემ ძალოვნებს აღემატება?

მაგრამ ყოყმანი მხოლოდ ერთ წუთს გავრძელდა. მე ახალგაზრდა ვიყავი, ჯან-ღონით სავსე, საუკეთესოდ დაუფლებული ჩემს პროფესიას, ოქტომბრის რევოლუციას აღფრთოვანებით შეეხვდი...

ზუსტად დილის 10 საათზე ჩემი ლიმუზინი „ტიურკა-მერი“ იდგა სმოლნის მთავარ

შესასვლელთან. ახლოვდებოდა გადამწყვეტი წუთი—პირველი შეხვედრა ლენინთან.

სმოლნის ფასადთან პატარა მოედანზე მრავალი მსუბუქი და საზარგო ავტომანქანა იდგა. აქვე იდგა რამდენიმე ქვემეხი და ტყვიამფრქვევი. ამ დღეებში პეტროგრადში მღელვარე და აღზნებული ცხოვრება იყო. მუშებისა და გლეხების მეტროპოლი რაზმები ყოველი მიმართულებით მიდი-მოდიოდნენ. ქუჩებში არ წყდებოდა უწყსრიგო სროლა, ზოგჯერ ბათივც გაისმოდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამას თითქმის არავინ ყურადღებას არ აქცევდა.

მე ვიჯექი მანქანის საჭესთან და ველოდი. ვილაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მომიახლოვდა და ხმამაღლა მკითხა:

— თქვენ ლენინთან ხართ?

ჩემს დასტურზე დაუმატა:

— მომართეთ მანქანა, ახლავე გამოვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სმოლნის კიბეებზე სამი ადამიანი გამოჩნდა. ორი მაღალი ტანისა იყო, ერთი მათგანი სამხედრო ფორმაში, და მესამე—ტანმორჩილი, შავ პალტოში, კრაველის საყელოთი და „უშანკა“ თბილი ქუდით.

უმალ კითხვამ გამიელვა: რომელია ლენინი? მანქანასთან პირველი მოვიდა შავ-პალტოიანი, ტანმორჩილი ადამიანი, სწრაფი მოძრაობით გააღო ჩემი კაბინის კარი და მომმართა:

— გამარჯობათ, ამხანაგო! რა გვარი ხართ?

— გილი,—ვუპასუხე მე.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, ამხანაგო გილ, —და განომიწოდა ხელი,—თქვენ ჩემთან ერთად ივლით.

მან ალერსიანად შემომხედა თვალებში და გაიღიმა. პირველი შთაბეჭდილება, ამბობენ, სამუდამოდ რჩება ადამიანის მეხსიერებაში, და არც ღროს, არც ათასგვარ ერთიმეორის შემცვლელ ამბებსა და მოვლენებს არ ძა-

\* იბეჭდება შემოკლებით.



— წადით, ამხანაგო ვილ. ისა-  
უზმეთ, ჩაი დალიეთ, მე აქ მო-  
მიხლება ცოტა ხანს დაყოენება.  
მას ასე, ჯერჯერობით!

ეს მისი თქმა ჩამრჩა მეხსიე-  
რებაში. მე ის ხშირად მესმოდა.  
ყოველთვის, როდესაც ლენინი  
ჩავიდოდა ავტომობილიდან, იტ-  
ყოდა: „მას ასე, ჯერჯერობით!“

ასე დაიწყო ჩემი გაცნობა  
ვლადიმერ ილიას-ძე ლენინთან,  
ასე დაიწყო ჩემი მუშაობა მას-  
თან, რაც არ შეწყვეტილა მისი  
სიცოცხლის უკანასკნელ დღემ-  
დე...

## ლენინის და სტალინის მეგობრობა

ლუძთ მისი ამოშლა. ეს მართალია. ვლადი-  
მერ ილიას-ძის პირველ ხელისჩამორთმევას  
და მის პირველ სიტყვებს მე ვერაფერი და-  
მავიწყებ.

ვლადიმერ ილიას-ძე ჩაჯდა თავის თანა-  
მგზავრებით მანქანაში და მთხოვა წამეყვანა  
იგი სოლიანოი გოროდოკში. იქ მუშებისა და  
ინტელიგენციის დიდი კრება იყო გამართუ-  
ლი.

ხილთან ვლადიმერ ილიას-ძე გადმოვიდა  
მანქანიდან და სწრაფი ნაბიჯით წავიდა შეკ-  
რებილი ხალხისაკენ. იცნეს ლენინი, ყოვე-  
ლი მხრიდან გაისმა: „ლენინი მოვიდა!  
ლენინი!“

ვლადიმერ ილიას-ძის გამოსვლას დიდი  
ოვაციით შეეგებნენ; მისი სიტყვის დროს  
ხშირად გაისმოდა ტაშის გრიალი, რომელიც  
ფარავდა კრებაზე მყოფ საბჭოთა ხელისუფ-  
ლების მტრების—მენშევიკებისა და ესერე-  
ვის—წამოძახილებსა და ბუზღუნს.

უკან დაბრუნებისას ვლადიმერ ილიას-ძე  
ჩემ გვერდით დაჯდა. გზაში მე დროგამოშვე-  
ბით თვალს გადავკრავდი მას. მიუხედავად  
იმისა, რომ სულ ახლახან განცდილი ჰქონდა  
დიდი ალგზნება, იგი მშვიდად იყო და ცოტა  
ჩაფიქრებული.

როგორც კი მივაღეჭით სმოლნს, ვლადიმერ  
ილიას-ძე ჩვეული სისწრაფით ჩავიდა მანქა-  
ნიდან და მითხრა:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი მე პირვე-  
ლად 1917 წლის ნოემბერში ვნახე.

ნოემბრის ერთ დღეს, ადრე დილით, ვლა-  
დიმერ ილიას-ძემ გამომიძახა და სტალინთან  
წასვლა დამავალა. სმოლნში უნდა მომეყვანა  
ამხანაგი სტალინი. ამ ხანებში იოსებ ბესა-  
რიონის-ძე სმოლნის მახლობლად ცხოვრობ-  
და, თუ არ ვცდები, ალილუევების ბინაზე.

იოსებ ბესარიონის-ძე უკვე მზად იყო  
ჩემი მისვლისას. იგი სწრაფად გამოვიდა, შე-  
მომეგება და მომესალმა, შემდეგ გაემართა  
მანქანისაკენ. მე დავინახე ჩასკვნილი ტანის  
აღამიანი პატარა ყალიონით პირში. მას  
ჩექმები ეცვა. ქუდიდან მოუჩანდა კუბრი-  
ვით შავი თმები. ასეთივე იერის ჰქონდა ულ-  
ვაშებიც. წელში გამართული იყო, თავი ცოტა  
უკან ჰქონდა გადაწეული. ლაპარაკობდა აუ-  
ჩქარებლად, დაბალი ხმით.

მოსკოვში მთავრობის გადმოსვლის შემ-  
დეგ მე ხშირად მივდიოდი ვლადიმერ ილიას-  
ძის დავალებით იოსებ ბესარიონის-ძის ბინა-  
ზე კრემლში...

ნათელ და წარუშლელ შთაბეჭდილებას  
ახდენდა ჩემზე ლენინისა და სტალინის შეხ-  
ვედრები, მათი ურთიერთობა, მათი შესანიშ-  
ნავი მეგობრობა. მე შემიძლია ვილაპარაკო  
ლენინისა და სტალინის მეგობრობის მხო-  
ლოდ გარეგნულ მხარეებზე, იმაზე, რის შემ-

ჩნევაც შემეძლო მათი შეხვედრების დროს. მაგრამ ეს პატარა ფაქტებიც, რომელთა მოწმეც, საბედნიეროდ, მე ვიყავი, გვარწმუნებს, რომ ლენინისა და სტალინის მეგობრობა იყო ორი დიდი ადამიანის, სულიერად ახლობლების, ერთმანეთისადმი უაღრესი პატივისცემით გამსჭვალული ადამიანების მეგობრობა. თვალნათლივი იყო მათი ურთიერთისადმი მზრუნველობა.

უდიდესი მზრუნველობით ცდილობდა იოსებ ბესარიონის-ძე შეექმნა პირობები ვლადიმერ ილიას-ძისათვის მისი ავადმყოფობის დროს. ამხანაგი სტალინი ცდილობდა გაეკეთებინა ეს შეუმჩნეველად, რომ ლენინს ეჭვიც არ აეღო მის, სტალინის, მონაწილეობაზე ამ მზრუნველობაში...

ასეთივე გულითადი იყო ლენინის დამოკიდებულება სტალინისადმი. მაგონდება ვლადიმერ ილიას-ძისა და იოსებ ბესარიონის-ძის შეხვედრები გორკში, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე ისვენებდა და ჯანსაღდებოდა დაჭრის შემდეგ. მე რამდენჯერმე მიმიყვანია ამხანაგი სტალინი გორკში და ვხედავდი, თუ როგორი სიხარულითა და აღფრთოვანებით ეგებებოდა მას ვლადიმერ ილიას-ძე. მაგრამ ჩამოართმევდნენ ერთმანეთს ხელს, ღიმილი გადაეკვროდა მათ სახეებს, სიხარული ჩაუდგებოდათ თვალებში. შემდეგ გაივლიდნენ ხეივანში, დაიწყებდნენ ბაასს. აი, მათი ბაასი გაცხოველებული ხდება, ზოგჯერ ცხარეც. დროგამოშვებით სხდებიან სკამზე, ხშირად ისმის ხან ვლადიმერ ილიას-ძის, ხან იოსებ ბესარიონის-ძის სიცილი. მაგრამ დიდხანს ჯდომა სკამზე მათ არ ეხერხებათ, მათ ორივეს მოძრაობა უყვართ! მიდიან ღრმად პარკში, დადიან ხეივანებში, ბაასი არ წყდება.

მე, ჩვეულებრივ, ამ დროს სახლის ახლოს დავდიოდი ხოლმე, ან ავტომობილთან ვსაქმიანობდი და შემეძლო თვალყური მედევნებინა მათთვის. საღამო მოაღწევდა, ავრილდებოდა და იოსებ ბესარიონის-ძე ემშვიდობებოდა ვლადიმერ ილიას-ძეს.

მასხოვს, როგორ წუხდა და ღელავდა ვლადიმერ ილიას-ძე ამხანაგ სტალინის ავადმყოფობის დროს. ვლადიმერ ილიას-ძე დღის განმავლობაში რამდენჯერმე კითხულობდა იოსებ ბესარიონის-ძის ჯანმრთელობის შესახებ, რეკავდა ბოტკინის საავადმყოფოში, მიდიოდა პროფესორ როზანოვთან, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა სტალინს, სთხოვდა ექიმებს დაერეკათ მისთვის და გამოეძახათ საავადმყოფოში, დღისით თუ ღამით განურჩევლად, უკეთუ სტალინი ცუდად იგრძნობდა თავს.

როდესაც პროფესორმა როზანოვმა აცნო-

ბა ვლადიმერ ილიას-ძეს, რომ ოპერაციამ კარგად ჩაიარა და კრიზისმა განვლო, მან მხიარულად წამოიძახა:

— მართლა? საშიშროებამ განვლო? ძალიან კარგი! რას გვირჩევთ ახლა, სად გავგზავნოთ იგი, სრულიად რომ გამოჯანსაღდეს? ოღონდ არა სანატორიუმში. ჩვენი სანატორიუმები ჯერ საქმარისად კარგები ვერ არის. შეიძლება სამხრეთით გავგზავნოთ? ან მთებში?

## ლენინი და გორკი

ერთხელ 1919 წლის შემოდგომაზე გამომიძახა ვლადიმერ ილიას-ძემ და მითხრა:

— აი რა: მოსკოვს ჩამოვიდა გორკი, საღამოს აქ უნდა მოიყვანოთ იგი. აი თქვენ მისი მისამართი. მე დაგირეკავთ მოგვიანებით და გეტყვით, რა დროს უნდა წახვიდეთ.

ორი საათის შემდეგ გაისმა ტელეფონის ზარი. ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიას-ძე:

— ამხანაგო გილ, ჩემი შეხვედრა ალექსეი მაქსიმეს-ძესთან ზუსტად შევიღზე.

შვიდ საათამდე ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ მე მაშინვე გავედი. ისეთი დრო იყო, რომ მაინცადამანინც იოლად ვერ მიაგნებდით ყველა ბინას; სადარბაზო კარები, ჭიშკრები და მისასვლელები თითქმის ყველგან გადარაზული იყო. ვისმეს მოძებნა უცხო სახლში დიდ დროსა და დიდი ჯაფის გაწევას მოითხოვდა.

მიუხედავად ამისა, გილმა ამჯერად დანიშნულ დროზე მიიყვანა გორკი ვლადიმერ ილიას-ძესთან. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც გალს კვლავ უნდა მიეყვანა გორკი ვლადიმერ ილიას-ძესთან, მან პირნათლად ვერ შეასრულა დავალება, რისთვისაც საყვედური მიიღო. „ეს იყო პირველი და უკანასკნელი საყვედური, რომელიც მე მივიღე ვლადიმერ ილიას-ძესთან მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში“, — ამბობს გილი და შემდეგს მოგვითხრობს:

გორკისთან პირველი შეხვედრის ცოტა ხნის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძემ გამომიძახა და დამავალა ოთხი საათისათვის მიმიყვანა მასთან ალექსეი მაქსიმეს-ძე. ოთხ საათამდე საათზე მეტი იყო დარჩენილი და მე არ ვჩქარობდი. როდესაც უკვე დავაპირე წასვლა, მანქანაში დაზიანება აღმოვაჩინე და გადავწყვიტე თვითონ მე გამეკეთებინა რემონტი, ჩემ მაგივრად კი გორკისთან ჩემი თანაშემწე გავგზავნე სხვა მანქანით. ეს იყო პირველი (და უკანასკნელი) შემთხვევა, როდესაც ლენინის პირადი დავალება მე სხვას გადავავალე.

ოთხ საათამდე 50 წუთი იყო დარჩენილი. შეიძლებოდა გორკის ბინამდე არა ერთი,



არამედ ორი რეისის გაკეთებაც. თანაშემწეს, ალბათ, ზუსტად ვერ ავუსხენი, თუ როგორ უნდა მიეგნო ბინისათვის, და ახია ჩემ თავზე, რაც მომივიდა.

15 წუთი აკლდა ლენინის მიერ დანიშნულ დროს, როდესაც გარაჟში შემოვარდა ჩემი თანაშემწე და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— ვერ ვიპოვე გორკის ბინა! ყველა კარზე ვაბრახუნე, მაგრამ ვერას გაეხდი!

მე ელდა მეცა. ვლადიმერ ილიას-ძის დრო მეტად ძვირფასი იყო, ის სულ წუთობით იყო ნაანგარიშევი. თუ ვისმეს მიიხმობდა საქმეზე, ლენინი ერთ წუთსაც არ აცდევინებდა და თავის მხრივაც ვერ იტანდა სხვების მიერ დროს დაკარგვინებას. მე იმდენად დასჯა როდი მაშინებდა, რაც დაუდევრობისათვის მეკუთვნოდა, რამდენადაც ის მაწუხებდა, რომ ჩემი ეს წინდაუხედაობა ასე თუ ისე გავლენას მოახდენდა ვლადიმერ ილიას-ძის მუშაობაზე.

მე ჩავხტი მანქანაში ისე, როგორც ვიყავი, და გავქანდი ჰიშკრისაკენ. ალტკმულ დრომდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. დაშვებული შეცდომის გამოსწორების იმედი უკვე აღარ მქონდა, მინდოდა მხოლოდ შემემოკლებინა დაგვიანება.

არაჩვეულებრივი სისწრაფით გვაქროლვე მანქანა მოსკოვის ქუჩებში. გამვლენები განცვიფრებით მაშტერდებოდნენ, ცხენები ფეთდებოდნენ. და უეცრად—გორკი! მოდის დაქირავებული ეტლით.

გამეხარდა. ალექსეი მაქსიმეს-ძემ, როგორც კი დამინახა, გაისტუმრა მეეტლე და ჩემთან გადმოჯდა მანქანაში. გზაში მას ყველაფერი ვუამბე.

— საქმე ვერაა კარგად, ამხანაგო გილ!—სთქვა ალექსეი მაქსიმეს-ძემ და შეფიქრიანებულმა ხელი გადაისვა თავის ხეშეშულვაშებზე. — პირდაპირ ვეტყვი, ჩვენი საქმე წასულია! მოგვხვდება ორთავეს, თქვენცა და მეც!

მე დავეთანხმე, რომ საქმე მართლა ვერ იყო კარგად, მაგრამ დავუმატე, რომ მომხვდება მხოლოდ მე და არა მას. მან შემომხედა და წყნარად ჩაიციხა.

— რამე უნდა მოვიფიქროთ,—სთქვა მან.— ნუ ღელავთ, გილ, მე შევეცდები რამე გავაწყო.

ალექსეი მაქსიმეს-ძე საკმაოდ დიდი დავიანებით შევიდა ვლადიმერ ილიას-ძის მისაღებ ოთახში.

ორი საათის შემდეგ მე უკან წავიყვანე გორკი.

— როგორაა საქმე, ალექსეი მაქსიმეს-ძე? — ვკითხე მე.


მან ნაღვლიანად ჩაიქნია ხელი:

— ნაწილი დანაშაულისა ჩემ თავზე ავიღე. მაგრამ განა მოატყუებ ვლადიმერ ილიას-ძეს?

სალამოთი მივედი ვლადიმერ ილიას-ძესთან კაბინეტში და დავიწყე მომხდარის ახსნა-განმარტება. ლენინი ბოლთას სცემდა ოთახში ჟილეტის კრილში თითებგაყრილი და მღუმარედ მისმენდა. შემდეგ მითხრა:

— კარგი, დავივიწყოთ ეს შემთხვევა. იმედს ვიქონიებ, რომ შემდეგ აღარ განმეორდება.

მეორე დღეს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველმა თავისი ხელმოწერით გამომიცხადა საყვედური ბრძანებით, ამხანაგ ლენინის დაგალების დროზე შეუსრულებლობისათვის.



საქმეთა მმართველის ამ საყვედურმა იმდენად არ შემაწუხა, რამდენადაც იმის შეგნებამ, რომ მე ჩემი საქციელით დავარღვიე ლენინის მუშაობის განაწესი.

ვლადიმერ ილიას-ძე თვითონ მეტად აკურათული, წესიერი იყო და სხვებისაგანაც ასეთსავე წესიერებას მოითხოვდა.

სადაც არ უნდა წავსულიყავით, ლენინი თავიდანვე განსაზღვრავდა, თუ როდის უნდა მივსულიყავით. თუ დროზე მივიდოდით, ვლადიმერ ილიას-ძე იტყოდა:

— ჩინებულა, ჩავეტიეთ დროში!  
დაგვიანების შემთხვევაში, იმის მიხედვით,

თუ რა იყო ამ დაგვიანების მიზეზი, ლენინი იტყოდა ხოლმე:

— ცუდია, ვერ ჩავეტიეთ დროში!  
ანდა:

— ეს ჩვენი ბრალი არაა, დაგვაგვიანეს!

თუ ვინმე დაიგვიანებდა, თუნდაც რამდენიმე წუთით, ვლადიმერ ილიას-ძე ყოველთვის უსაყვედურებდა დაგვიანებულს, თუმცა, ხშირად, ხუმრობით. დახედავდა საათს და იტყოდა:

— ჩემი საათი რაღაც წინ გარბის, უნდა შევამოწმო. რა დროა თქვენსაზე?

(ვაგრძელება იქნება)

თარგმანი შ. გვირიტიანი



## სიმღერა სამგორზე

მზე თბილისთან ველს რომ თუთქავს,  
ეს ნაბრძოლი სამგორია...  
აგვიოხრა ეს მიდამო  
დამპყრობელთა ქარბორიამ.

წარსულშიაც ვაჟკაცურად  
გვიხდებოდა მტრებთან შებმა,  
მაინც ბევრჯერ დავვარბიეს  
დამპყრობელთა ურდოებმა.

გადაჩეხილ ზვარს და ხეხილს  
შრომით ისევ ვახარებდით.  
ისევ ვრთავდით ჩვენს სამშობლოს  
საოცნებო ბაღნარებით.

შემდეგ ნაყოფს იმ ბაღებში  
აღტაცებით ვკრფდით ყველა...

დღეს სამგორშიც ცას გაეკრა  
სიხარულის ცისარტყელა.

ვაჟკაცურად დავხვდი იორს,  
ქვეყნის ძალა დავანახეთ,  
მის ტალღათა სანაფარდოდ  
დიდ სამგორში ვაგებთ არხებს.

კაცის ხელი იგრძნო მიწამ,  
შრომის ძალა იგრძნეს მთებმა,  
ეს მიდამო ნახანძრალი  
ხელმეორედ იბადება.

აყვავდება აქ ბაღები,  
და სამგორის ხილს პირველად  
ლამაზ ქართულ კალათებით  
ჩვენ მივართმევთ ხალხთა ბელადს.

ილია სომხარია



# საბჭოთა ბავშვების დიდი მეგობარი



ერთი წლის წინათ, 1946 წლის 3 ივნისს, გარდაიცვალა მიხეილ ივანეს-ძე კალინინი—კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებელი და გამოჩენილი ხელმძღვანელი. ჩვენი ქვეყნისათვის ეს უმძიმესი დანაკლისი იყო.

ბოლშევიკური პარტიის დიდ ბელადებთან—ლენინთან და სტალინთან ერთად მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა განვლო მძიმე და სახელოვანი გზა მებრძოლი ბოლშევიკისა. ლენინთან და სტალინთან ერთად მონაწილეობდა იგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და ჩატარებაში. შემდეგ ოცდაშვიდი წელიდადი მეთაურობდა მიხეილ ივანეს-ძე საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს: ჯერ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო იგი.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აურაცხელ საქმიანობაში მიხეილ ივანეს-ძე კალინინი უდიდეს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა ხალხის მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარებასა და განათლებას.

მიხეილ ივანეს-ძეს მხურვალედ უყვარდა ბავშვები, მოზარდი თაობა. იგი ვამუდმებით მოაგონებდა პიონერებსა და მოსწავლეებს, თუ რა უდიდესი ძალაა ცოდნა. იგი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მუყაითი შრომის გარეშე არ შეიძლება ნამდვილი, სრულყოფილი ცოდნის შეძენა.

„ყოველი პიონერის ღირსების საქმე,—ამბობდა მ. ი. კალინინი,—ეს არის ჩაბარო გამოცდა ყოველ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს საგნებში მაინც „ფრიადზე“. ეს იოლი საქმე როდია. მაგრამ „გაურჯელად,—ამბობს ანდაზა,—თევზსაც ვერ დაიჭერო“.

მუყაითობა ყოველ საქმეში საჭიროა, მაგრამ ყველაზე მეტად,—შეიძლება ითქვას,—იგი საჭიროა სწავლაში. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მონაწილე რომ ვახდით, და ასეთი თქვენ 5-10 წლის შემდეგ იქნებით, ამისათვის საჭიროა დაეუფლოთ არა მარტო ცოდნის იმ მინიმუმს, რომელსაც საშუალო სკოლა იძლევა, არამედ უნდა გამოიმუშოთ აგრეთვე დისციპლინიანობა, გამოიწვრთნათ ფიზიკურად და შეიძინოთ დიდი კულტურულობა“.

თავის მიმართებებში ახალგაზრდობისადმი მ. ი. კალინინი ატარებდა ჩვენი დიდი მასწავლებლების ლენინის და სტალინის გენიალურ იდეებს ახალგაზრდობის აღზრდის შე-



სახებ და შესანიშნავ, ფასდაუდებელ რჩევასა და დარიგებას აძლევდა ჩვენს პედაგოგებსა და კომკავშირულ კადრებს.

მ. ი. კალინინი მოუწოდებდა აღეზარდათ ჩვენი ნორჩი თაობა ახალი საბჭოთა ადამიანის მორალის პრინციპებზე. „ჩვენში,—ამბობდა მ. ი. კალინინი,—იქმნება სოციალისტური საზოგადოების ახალი ადამიანი. ამ ახალ ადამიანს უნდა ჩავუნერგოთ ყველაზე საუკეთესო ადამიანური თვისებები“. მ. ი. კალინინის აზრით, ეს თვისებებია—სიყვარული სამშობლოსადმი, საკუთარ ხალხისადმი, მშრომელი მასებისადმი, პატროსნება, სიმაჰაცე, ამხანაგობა, შრომისადმი სიყვარული.

პიონერები და მოსწავლეები არასოდეს არ დაივიწყებენ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის ამ მამობრივი სიყვარულითა და მზრუნველობით აღსავსე რჩევა-დარიგებებს...

პიონერებო და მოსწავლეებო!

ვიყოთ ისეთი დაუზარებელი და შეუპოვარი შრომაში, როგორიც იყო მთელი თავისი სახელოვანი ცხოვრების მანძილზე მიხეილ ივანეს-ძე კალინინი; ვიყოთ ისეთი ერთგული და თავდადებული ჩვენი სამშობლოსადმი, ხალხისადმი, ლენინ-სტალინის დიდი საქმისადმი, დიდი სტალინისადმი, როგორიც იყო თავისი სამაგალითო ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე მიხეილ ივანეს-ძე კალინინი!



# უოჩაღ, ზურა!



## მოთხრობა

ზარი აწკარუნდა. სკოლის მაღალი შენობა უცებ ახმაურდა. კლასებიდან ბავშვები გამოცივიდნენ და ყიჟინით დაეშვნენ კიბეზე.

ყველაზე ბოლოს სკოლიდან ორი მოწაფე გამოვიდა, ორივე ერთი სიმაღლის. კარგად ეცვათ. ერთ მათგანს ხელი მეღნით ჰქონდა დასვრილი, ხელში სამეღნე და ერთადერთი ყდაშემოცვეთილი წიგნი ეჭირა, წარწერა აღარ ეტყობოდა. წიგნში იღო დაჭმუჭნული რვეული და კალმისტარი. მეორე მოწაფე წიგნებით სავსე ჩანთით მიდიოდა. ყელზე ბიონერის ყელსახვევი ლამაზად ჰქონდა გასკვნილი.

— გივი, გამოცდებზე როგორც იქნა დამიშვეს, მაგრამ ალგებრასა და გეომეტრიაში ძალიან მეშინია: ვინ იცის, როგორი მაგალითი შეგვხვდება, — მოწყენილი კილოთი თქვა იმ მოწაფემ, რომელსაც ხელში წიგნი და სამეღნე ეჭირა.

— ნუ გეშინია, ზურა, რაც არ გვისწავლია, ასეთი არაფერი შეგვხვდება! — სცადა გივიმ ამხანაგის დამშვიდება.

— ეგ ხომ მეც ვიცი, მაგრამ ყველაფერი აღარ მახსოვს და სწორედ ეს მალონებს... გივი, ჩვენ ხომ ამხანაგები ვართ. ერთმანეთს ახლა უნდა დავეხმაროთ.

— რასაკვირველია.

— ალბათ მიმიხვდები, შენი დახმარება მჭირდება.

გივის ესიამოვნა ამხანაგის თხოვნა, ზურას მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— რატომ არა, დავეხმარები, თუკი შემძლია.

— რომ არ შეგეძლოს, არ გეტყობი. წერის დროს შენს უკან დავჯდები და შენც

ისე უნდა მოეწყო, რომ რასაც დასწერ, ყველაფრის წაკითხვა მოვახერხო!

— ეს შენზეა დამოკიდებული! — უბასუხა გივიმ.

— თუ ნაცნობი მაგალითები დაგვიწერა მასწავლებელმა, მაშინ მეც გავაკეთებ, თუ არა და შენი იმედი მექნება!

— კარგი! — დაეთანხმა გივი.

ამ ლაპარაკში ზურას სახლს მიუახლოდნენ.

დაშორებისას ზურამ კვლავ მოაგონა გივის — უნდა დამეხმარო და კმაყოფილი დამეშვიდობა მეგობარს.

\* \* \*

გივიმ შინ მისვლისთანავე წიგნები და რვეულები გადმოალაგა. აქამდე სასწავლო ცხრილის მიხედვით ელაგა წიგნები, ახლა



საგამოცდო დღეების მიხედვით დაწყო. პირველი გამოცდისათვის საჭირო წიგნები და რვეულები პირველ რიგში მოათავსა, დანარჩენებიც ერთიმეორის მიყოლებით. ყველა რომ გადმოალაგა, ჩაფიქრდა. მხიარული სახე ერთ წუთში შეეცვალა. უცებ შემოტრიალდა და ქუდი დაიხურა. დედას უთხრა მალე მოვალო და გარეთ გავარდა. ქუჩაშიც ჩქარა მიდიოდა, ზურას სახლისაკენ მიეშურებოდა.

ზურა ეზოში დახვდა, ბავშვებთან თამაშობდა. გივის მოსვლამ ძალიან გაახარა.

— მოდი, გივი, ვითამაშოთ!

— ზურა, მე შენთან საქმეზე მოვედი. ახლა რა დროს თამაშია?

ზურას გაუკვირდა. გაიფიქრა: წელან დავემშვიდობებთ ერთმანეთს და ახლა ნეტავ რა საქმეზე უნდა იყოს მოსულიო? დაელოდა, აბა რას იტყვისო.



დღეს რომ მოვილაპარაკეთ, — განაგრძო გივიმ, — ის საქმე ისე არ გაკეთდება. მე კარგად ვერ დავეუფიქრდი. შენ რომ ფიქრობ, იმგვარად ჩემი დახმარება კარგი არ იქნება შენთვის. წელს რომ გაგიყვანო, გადაგარჩინო, გაისად რას იზამ? ყოველთვის ხომ ვერ გადააწერიან? მაშინ?! ეს მეგობრული კი არა, მტრული დახმარება იქნება. დახმარება გამოცდებამდე ჯობს. იარე ჩემთან, ერთად გიმეცადინოთ!

ზურა მეგობრისაგან ასეთ რამეს სულ არ მოელოდა. ძალიან დაღონდა.

— შენ რა გაწუხებს, მე გადავიწერ, ეს უფრო ადვილია.

— იცი, რა გითხრა? წელს გადაიწერ, მაგ-

რამ ამით შენ არაფერი არ მოგემატება, ხოლო შემდეგ სწავლა უფრო გაგიჭირდება. თუ მასწავლებელმა დაგვინახა, მაშინ შენი საქმეც გაფუჭდება და ჩემიც.

გივი ისე დამარწმუნებლად ლაპარაკობდა, რომ ზურა უნებლოდ დაფიქრდა. მეგობრის სიტყვები გულთან უფრო ახლოს მიიტანა და საწინააღმდეგო ვერაფერი თქვა. თამაშით გართულ ბიჭებს ერთი გადახედა. გულმა კვლავ მათკენ გაუწია, მაგრამ გივის ეს არ აგრძნობინა. გივი იმდენად ბეჯითი და გამოსადეგი ყმაწვილი იყო, რომ არ უნდოდა მისთვის ეწყენინებინა. მოთამაშე ბიჭებს თვალი მოაშორა, ხელი ჩაიქნია და ჩურჩულით თქვა:

— თამაშს მერეც მოვესწრები!

გივის ეამა ჩურჩულით ნათქვამი ზურას სიტყვები და მეგობარს ნათქვამი მოუწონა.

ამის შემდეგ ზურა ყოველდღე დადიოდა გივისთან შინ, მასთან ერთად მეცადინეობდა და ემზადებოდა გამოცდებისათვის.

\* \* \*

გამოცდების დღეა, სწორედ ის დღე, ზურას რომ აშინებდა. მოწაფეები მოდიან. ისინი

ალარც სკოლის ეზოში თამაშობენ და ალარც დერეფნებში დახტიან, საკლასო ოთახში პირდაპირ თავიანთ მერხებზე სხდებიან. ზურაც მოვიდა. მოწაფეები მასწავლებლის მოლოდინში ღელავენ. ხან ერთი მოწაფე მიიბენს კარებთან, ხან მეორე, უნდათ დაინახონ: მასწავლებელი თუ მოდისო.

— მოდიან! — დაიძახა ბოლოს ერთმა მოწაფემ.

კარი გაიღო და საგნის მასწავლებელს ეთერს ორი სხვა მასწავლებელიც შემოჰყვა. ყველა მოწაფემ თითო ბეჭდიანი ფურცელი მიიღო. ამის შემდეგ მასწავლებელმა დაფაზე



მაგალითებიც დაწერა, მობრუნდა, გადახედა მოწაფეებს და გამოაცხადა:

— თქვენს განკარგულებაში ორი საათია.

— ვინც იცის, იმას ერთი საათიც ეყოფა,—  
ჩაიხურჩულა ზურამ.

მასწავლებელმა ეთერმა ყური მოჰკრა, მაგრამ ზურას არ აგრძობინა და წამახალისებლად უთხრა:

— აბა, შენ იცი, ზურა, ამ გამოცდების დროს მაინც როგორ მასახელებ!

ზურა გაწითლდა, წამოდგა. როცა მასწავ-

ლებელმა უთხრა დაჯექიო, მხოლოდ მაშინ დაჯდა. ყველა მოწაფე თავისთვის მუშაობდა. ზურაც გულმოდგინედ წერდა.

\* \* \*

ორი საათის შემდეგ კლასში არც ერთი მოწაფე აღარ იყო, მხოლოდ მასწავლებლები ისხდნენ და მოწაფეთა ნამუშევრებს ამოწმებდნენ. ერთ-ერთი ნამუშევრის გასწორების დროს მასწავლებელმა ეთერმა სიხარულით წამოიძახა:

— ყოჩაღ, ზურა!



### ი გ ა ვ ი

მთის დაღმა არწივმა დიდრონი და ღონიერი ბარტყები გამოიჩეკა. ბარტყები რომ წამოიზარდნენ და ბუდიდან გადმოფრინდნენ, ყველა ფრინველმა მორიდებით დაუწყო მათ ცქერა.

ყველას მოსწონდა არწივის ბარტყები.

ყორანი შურით კიდევ უფრო გაშავდა და სთქვა:

— არწივის იმიტომ ჰყავს ძლიერი და ფხიზელი შვილები, რომ ბუდეს მაღალ მთაზე იკეთებს და იქ სჩეკს ბარტყებსო.

— შეიძლებაო!— უთხრა სანუგეშოდ კაჭკაჭმა.

ყორანს ეამა და თავისი ნათქვამის სიმართლე დაიჯერა.

მომავალ წელს ყორანმა მაღალ მთაზე გაიკეთა ბუდე, მაგრამ მაინც საბრალო ყორნების მეტი ვერაფერი გამოიჩეკა.

8. ლაზიუზვილი



# თიბვა

მზის ბადეში გახვეულა  
მთელი მთა და ბარი,  
მოდის, შარას მოამტვერებს  
კუდბაწარა ქარი...  
ქარი ქრის და მაინც ცხელა,  
ალი ასდის ჭადარს.  
ჭადარს იქით ჭრელობერანგა  
მთიბავები ჩანან...  
ელვასავით ელავს მზეში  
მოქნეული ცელი...  
აგერ ვილაც შედგა წამით,  
ფხას მოსინჯავს ცერით...  
წინ წასული მეგობარი  
გადმოსძახებს ლალად:  
— ჩქარა, ბიჭო, ლეგა ბიჭო,  
რალას უცდი, რალას?!  
ალაზნამდე გაწოლილან  
სათიბები ჩვენი,  
შუაღლიდან სალამომდე  
ვერ გადუვლი ცხენით...  
სოფლად ურმის კრიალია,  
ავტოების გრგვინვაც...  
გესმის? აქეთ იჩქარიან,  
იჩქარიან მინდვრად!  
სამ გზობადაც არ ეყოფათ,  
რაც კი დღემდე ვთიბეთ...  
ვთიბოთ, თორემ რა აღმართავს?  
მთის ოდენა ზვინებს?!  
1





# შორეულ სადგურზე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ლილიდანვე სადგურში გროვდებოდნენ მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცები. ზოგს ხელი ჰქონდა შეხვეული, ზოგს ფეხი, ზოგს თავ-ყური შეეფუთნა ბამბით და თეთრი მარლით შეეკრა მაგრად. მეტი ნაწილი იმ დღეს გამოწერილიყო მახლობელი ქალაქის ჰოსპიტლიდან.

ჩვენი ღიდი ქვეყნის ყოველი კუთხის შვილნი შემოკრებილიყვნენ ამ პატარა შორეულ სადგურში. სკამლოგინი აღარ ჰყოფნიდათ, ფეხზე იდგნენ.

შემოდგომა მიწურულიყო. საშინელი ქარაშოტი ქროდა გარეთ, ხეებიდან გლეჯდა ფოთლებს და ჰაერში აფორიაქებდა, სადგურის თუნუქის სახურავს ახმაურებდა, მიღებში ჩასწიოდა, არ ისვენებდა, გააფთრებული დაქროდა ვრცელ ტრამალზე.

სადგურს ხეივანი ეკვროდა, შემდეგ თვალუწვდენი ტრიალი მინდვრები გადაჭიმულიყო.

ყოველ საათში ემატებოდნენ დარბაზს ჯარისკაცები. იატაკზე ყრიდნენ ჩანთებს და იქვე სხდებოდნენ.

ნახევრად ბნელ კუთხეში ჯარისკაცების ერთი ჯგუფი შექუჩებულიყო და საუზმობდნენ. ისინი მდინარე ვოლგის ნაპირების მცხოვრებნი იყვნენ, არაყს ერთმანეთს სთავაზობდნენ სასამისით და რომელიღაც ხალხურ ვოლგისპირულ სიმღერას მღეროდნენ.

შუალამე გადასულიყო. ყველას ეძინებოდა. ზოგნი ერთმანეთზე მიჯრით მსხლომნი, მუხლებში თავჩარგულნი უკვე ხვრინავდნენ. შემოსავალთან კედელზე მიდგმულ სკამლოგინზე ერთი შუახნის შავგვრემანი ჯარისკაცი

იჯდა მარტოდ. მუხლს ქვევით მარცხენა ფეხი არ ჰქონდა. ქართველი იყო, სიმონ ლოლადე, სანდომიანი სახე ჰქონდა, ყურებთან ოდნავ შევერცხლოდა თმები.

სიმონი მძიმე ფიქრებს შეეპყრო, გული ეთანადრებოდა: ღიდი ხნის უნახავ საქართველოში სურდა დაბრუნება. ცოლ-შვილთან შერიგება ენატრებოდა. „თხუთმეტი წელი ცოტა როდია, — ფიქრობდა იგი, — ჩემი ნოდარი ახლა ალბათ ფრონტზე იქნება!“

სიმონმა არ იცოდა, სად იყო მისი ვაჟკაცი, რომელ ფრონტზე ებრძოდა მტერს. იქნებ კიდევ შეხვდა სადმე ჯარში, მაგრამ არ იცნობს შვილს. „სამი წლის იყო მაშინ... არა, — გამოითვალა სიმონმა, — ოთხ წელს ცოტა აკლდა“. ნოდარიც არ იცნობს მამას. ახლა მაინც რად მოენატრა ასე შვილის ნახვა? გული აუჩუყდა სიმონს. ახლა ცისმარეც ისე ახალგაზრდა წარმოიდგინა სიმონმა, როგორც დატოვა იგი თხუთმეტი წლის წინათ და ფრიდას, მოცეკვავე რუს ქალიშვილს, გაჰყვა მოსკოვში. ახალგაზრდა იყო მაშინ სიმონი. უზომოდ უყვარდა ცეკვა. ყოველივე ამან მონიბლა და ოჯახი მიატოვებინა.

ფრიდამ სიმონსაც ასწავლა ცეკვა. დიდხანს ცეკვავდა სიმონი ცეკვის საღამოებზე ფრიდასთან ერთად, მაგრამ გავიდა დრო და ნელ-ნელა ბეზრდებოდა სიმონს ცეკვა, ბოლო ხანებში ფრიდა მარტო დადიოდა ცეკვის საღამოებზე. სიმონს ისევ ოჯახური სიტბო მოენატრა, ისევ ცისმარე. აი, ის ცაცხვის ხე, ის კუნძი, სადაც ცისმარე იჯდა სიმონის წასვლის წინ, შავი ნაწნავები მკერდზე გადმოეწყო და პაწია ბიჭუნა გულში ჩაეკრა.

ცრემლები ლაწვებზე ჩამოღვროდა ცისმარეს. ჩამავალი მზე მწუხარედ იხედებოდა მის ფართოდ გაღებულ თვალებში, მიმავალი სიმონის ზურგს რომ მისჩერებოდა. ჭიშკრიდან რომ მოიხედა სიმონმა უკანასკნელად, ეს სურათი ჩარჩა ხსოვნაში. თხუთმეტი წლის შემდეგ ისევ გაცოცხლდა ეს სურათი სიმონ ლოლაძის ხსოვნაში. იგი კიდევ უფრო შორს წავიდა თავისი მოგონებებით. ცისმარე უფრო პატარა წარმოდგა მის წინ, თორმეტი წლის, ფეხშიშველა, შავთვალწარბა გოგონა. ფარვანასავით ეტრფოდა იგი სინათლეს. ზაფხულის ლიბრ ღამეში დასდევდა ციციანათელებს. არასოდეს მზის ამოსვლას მძინარე არ შეხვდებოდა. მთელი დღე დობილებში ხბოებს აძოვებდა, ანაბანას იზეპირებდა. გავიდა დრო, სასწავლებელი დაამთავრა ცისმარემ, დავაუკაცდა სიმონი.

მერე სიმონი დაქორწინდა ცისმარეზე... და შემდეგ მოსკოვში გაატარა თხუთმეტი წელი ფრიდასთან. უკანასკნელ ხანებში ხშირად ფიქრობდა ლოლაძე საქართველოში დაბრუნებაზე, პირველ ცოლშვილზე. ამ დროს ომი გამოცხადდა. ომის პირველი დღიდანვე სიმონ ლოლაძე ფრონტზე წავიდა. ვაჟაკურად იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. ვაჟაკობისათვის მედალიც კი მიიღო. მაგრამ მარცხენა ფეხი დაკარგა ფრონტზე.

პოსპიტალში ყოფნის დროს სიმონს განსაკუთრებით მოეწონებოდა საქართველო, იმერეთის მომხიბლავი მიდამოები, თავისი ეზო და ის ცაცხვის ხეც კი, რომლის ჩრდილში დასტოვა ცისმარე. ახლაც, ამ შორეულ საღ-

გურზე მყოფ სიმონს, საქართველოსაკენ მიუწევს გული. ტკბილად აგონდება ცისმარესთან გატარებული მშვიდი დღეები; მანინ პატარა ნოდარი ახლა ცხრამეტი წლის ვაჟაკი იქნება. მაგრამ თხუთმეტი წელი ჩატეხილი ხიდივით ძევს სიმონსა და მის ოჯახს შორის. შეუძლებს ცისმარე ამდენი ხნის გულცივობას? ნოდარი მიიღებს მამას?!  
 ეს კითხვები აწვალებს სიმონს. საკვირველია, რამდენი მიძინებული გრძნობა გამოადვიდა სამამულო ომმა. სხვა პირობებში შეიძლება ამდენი არ ეფიქრა სიმონს საქართველოში დაბრუნებაზე. ახლა შვილის ამავეი უწიწკნის გულს. უნდა გაიგოს: სადაა მისი ვაჟაკი, რომელ ფრონტზე ებრძვის მტერს? ან ცისმარემ თუ დაიმსახურა სამამულო ომში გამირი დედის სახელი? ან რას ფიქრობენ სიმონზე ნათესავები? დეე გაიგოს ყველამ, რომ მან წმინდად მოიხანდა სამშობლოს ვალი!

ფიქრებში წასული სიმონი ორ მატარებელს ელოდება—თბილისს მიმავალს და მოსკოვს მიმავალსაც. ვერ გადაუწყვეტია, რომელს გაჰყვებს. გარეთ ისევ ქრის ქარი და გრიალებს თუნუქის სახურავი. დარბაზში მთვლემარე კატის თვალებივით ბეუტავს ფარნები.

სიმღერა მიწყდა. ჯარისკაცებს ძილი დაეუფლა. სადგურის უკანა კარებთან ავტომანქანამ დაიგუგუნა. დარბაზში შემოვიდა ახალგაზრდა ლეიტენანტი. მკერდზე მედალი უბრწყინავდა. მარცხენა ხელი თაბაშირში ჰქონდა



და თეთრი მარლით გულზე ეკიდა. ახალგაზრდა ლეიტენანტი მაინც მხიარულად გამოიყურებოდა. მაღალსა და მხრებგამოიღოს, შავგვრემანი სახე და მოცინარი თვალები ჰქონდა. კარებში ვიღაცას გაესაუბრა. მერე კუთხეში ჩამომსხდარტ გადასძახა:

— კრავჩენკო, კოტლოვ!

ეს ბიჭები მისი თანამებრძოლნი უნდა ყოფილიყვნენ, მძინარე ჯარისკაცებს გადმოაბიჯეს და ლეიტენანტს გადაეხვივნენ.

შუაღარბაში ვიღაც ბრვე ჯარისკაცი ყვინთავდა. გაიგონა თუ არა ნაცნობი ხმა, გამოცოცხლდა და ახალშემოსულს შესძახა:

— ლეიტენანტო, ძმაო...

ლეიტენანტმა იქით მიიხედა. იცნო მისი კომანდის სერჟანტი ოლენკო. გაუხარდა. ოლენკო მოსული ვაჟკაცი იყო, ღონიერი, ბრძოლის კარგი ოსტატი. გაახსენდა ლეიტენანტს, რა გამირულად ებრძოდა იგი ფრონტზე მტერს. ოლენკო ფეხში იყო დაჭრილი.

— ამხანაგო ოლენკო, შინისკენ აპირებ, არა?—ჰკითხა მისალმების შემდეგ მოსულმა.

— თუ ცოლმა არ გამომაგდო,—გადაიხარხარა ოლენკომ და მერე სერიოზულად სთქვა:

— ჩემი ცოლი პატრიოტი ქალია, ამხანაგო ლეიტენანტო. ჰოსპიტალში ყოფნის დროს წერილი მივიღე. მწერდა, პარტიზანი გავხდიო, სიკვდილამდე შენდ მიგულეო, ოღონდ გამარჯვებული დამიბრუნდი და ფეხმა შენი ჭირი წაიღოსო. და აი, გამარჯვებული ვბრუნდები. ჩვენი ჯარები, ამხანაგო ლეიტენანტო, ყოველდღე მიერეკებიან მტერს, ჩვენი მიწა თავისუფლდება... თქვენ საით ეპირებით?—ჰკითხა ბოლოს ოლენკომ და თაბაშირში ჩადებულ მკლავზე შეხედა.

— საქართველოში მივდივარ დედასთან. მკლავი დამიზიანდა. გავჯანსაღდები და მერე ისევ ფრონტზე დაებრუნდები.

— კარგია!—გაიღიმა ოლენკომ.

ლეიტენანტს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა ოლენკოსათვის, მაგრამ მახლობელი სკამლოგინიდან ქართული სიტყვა შემოესმა. „ოხ, დედა!“

ეს ხმა სიმონ ლოლაძის ამონაკენესი იყო. ლეიტენანტმა ოლენკოსთან საუბარი შეწყვიტა, მიუახლოვდა უცნობ ქართველს, იქვე ჩამოჯდა და დაყვავებით ჰკითხა:

— რა გაწუხებს, ბიძა, მოკვეთილი ფეხი ხომ არ გტკივა?! იქნებ სახლიდან მიიღე ცუდი ამბავი?

სიმონმა ცხვირსახოცი თვალები მოიწმინდა, ყავარჯენზე დაეჯინა, იატაკზე ფეხმორთხმულ ჯარისკაცს გადასწვდა და პაპიროსს მოუკიდა. შემდეგ მოსაუბრეს ჩააშ-



ტერდა თვალებში. მოაგონდა თავისი ბიჭუნას მერცხალივით თვალები.

— დიდი ხანია ქართული სიტყვა არ მსმენია. მეამა, რომ შეგხვდი... რა გვარი ხარ?

— ლოლაძე ვახლავარ.

— სახელი?

— ნოდარი.

— ლოლაძეებს ვიცნობ. მამაშენი რა კაცია?

— არ ვიცი... მამა არ მახსოვს.

— ადრე გარდაიცვალა?!

— არა... შეიძლება ცოცხალია.

სიმონი დაფიქრდა. გულში რაღაც ტკივილი იგრძნო.

— მაშ, მიგატოვა?!—მღელვარებით და ჩურჩულით წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვა სიმონმა.

— მგონი აგრეა...

სიმონს ნუძალადევიად გაეღიმა.

— ცოცხალი რომ იყოს და შინ დაბრუნდეს, არ მიიღებ?

— არასოდეს! — მწყრალად წამოიძახა ნოდარმა.

— ჰო, მართალი ხარ!—ჩაიბუტბუტა სიმონმა თავისთვის და უიმედოდ ჩაკიდა თავი. თხუთმეტი წელი ისევ ჩატეხილი ხდივით გაიშალა მის წინ.

სდუმდა სიმონი. შორს გაფრენილიყო იგი ოცნებით. ცისმარეს შესცქეროდა სათნო

თვალეზში. „ნეტა, ცისმარე რომ იყოს ახლა აქ, რას იტყოდა? ცისმარე უთუოდ აპატიებდა დანაშაულს. ცისმარე ალერსით გაათბობდა შვილსა და დაკარგულს მეუღლეს“.

გაქვევებული იჯდა სიმონი. იატაკზე დაბჯენილ ცალ ფეხს დასცქეროდა. გვერდით ყავარჯენი ედო.

ნოდარმა თაბაშირში ჩადებული მკლავი ვაისწორა და სკამლოგინს მიაწვა ზურგით.

— ძალიან გამახარე, ბიძია, ამდენ ჯარისკაცებში ფანსკუნჯის კვერცხივით რომ გამოერიე ერთი ქართველი და ქართული სიტყვა გამავთნე. ქართული სული მიდგას ეგ ტიალი. ეს ბიჭები მოსკოვის მატარებელს გაპყვებიან. კარგები არიან, ძმებივით მიყვარს ყველანი, მაგრამ ქართული სიტყვა სხვანაირად ემსჭვალება გულს, ბიძია. მიხარია, როცა ქართველ მეზობლს შევხვდები.

— საქართველოში მიდინხარ, არა?—ჰკითხა ნოდარმა.

— არა, ვერ წავალ... ჩემი შვილი... — ასლუკუნდა სიმონი.

ლუიტენანტი გააკვირვა სიმონის მოულოდნელმა ცრემლმა.

— რად სტირი, ბიძია, რა შეემთხვა შენს შვილს?

— ნუ მკითხავ! — ისეთი ხმით წამოიძახა სიმონმა, რომ ნოდარს შეებრალა.

— საქართველოში რატომ არ წამოხვალ?

— არავინ მყავს.

ნოდარი გაყუჩდა, ერთხანს ჩაფიქრდა და მერე დაბალი ხმით სთქვა:

— ჩემთან წამოდი, ბიძია, სტუმრად, დედაჩემი კეთილი ქალია, სათნო და სტუმართმოყვარე. გადაგახალისებს მშობლიური მხარე.

— მერე, შენ მაძლევ სიტყვას, რომ დედაშენი შემირიგებს?

ნოდარი შეკრთა, ფეხზე წამოიჭრა, დაჭრილ ჯარისკაცს თვალეზში ჩაამტერდა.

— თქვენ იცნობთ დედაჩემს?

— ვიცნობ, — ლულულღით სთქვა სიმონმა, —იმ კეთილ ქალს ცისმარე ჰქვია.

ნოდარს თითქოს აღმური მოეკიდა, ჯარისკაცს მისწვდა მარჯვენა ხელით და მძაფერი ჩურჩულით უთხრა:

— ნუ გამაგიჟე, სთქვი ჩქარა, ვინა ხარ?

სიმონს ნოდარის ხელის შეხება ეამა, არ შეშფოთებულა, მშვიდად ამოიღო სამხედრო ბილეთი უბიდან და ლეიტენანტს გაუწოდა.

სანამ ნოდარი სამხედრო ბილეთს ათვალიერებდა მბჟუტავი ფარნის შუქზე, სიმონი იჯდა თავჩაღუნული. არც ცრემლი მოეპოვებოდა ამ წამს სიმონს და არც სიტყვა!

ნოდარმა სიმონის პროფილს გახედა, გულში მშობლიური სახე შეეჭრა, მოაგონდა მამის სურათი, დედის სასთუმალთან რომ ეკიდა. სიმონი საგრძნობლად ჰგავდა იმ სურათს. ამ დროს ქარში გაისმა ზარის წკარუნნი. მალე სადგურში თბილისისაკენ მიმავალი მატარებელი ჩამოდგა. ბაქანზე სადგურის უფროსი გამოვიდა. ფარანი ეჭირა ხელში. ნახევრად მძინარე დარბაზი ახმაურდა. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ყველა კარებს მიაწყდა.

ნოდარი სიმონს კისერზე მოეხვია, ათროლვებული თითები მოაფათურა და ჩასჩურჩულა:

— მამავ, წავიდეთ... ჩქარა წავიდეთ... თბილისის მატარებელი მოვიდა — მათი ვინაობა ერთმანეთისათვის უკვე გარკვეული იყო. სიმონი არ იძვროდა, გამტერებული იჯდა და უაზროდ ჩასციებოდა ყავარჯენს. ნოდარი ეხვეოდა მამას და ცალი ხელით ეჭიდებოდა წელში, წამოდგომას შველოდა.


— მამავ, წავიდეთ!

ჯარისკაცი წამოდგა.

— შვილო, გმადლობთ ყურადღებისათვის! —თქვა მან და სიყვარულით ნოდარს თვალეზში ჩახედა.

მამა-შვილი ბაქანზე გავიდნენ.

გარეთ ქარი მიწყნარებულიყო. განთიადი იღვიძებდა. თბილისში მიმავალი მატარებელი წასასვლელად ქშინავდა.



# საყვარელ მერხთან

თბილისის 38-ე სკოლის მოხწავლეებს

ღიმილით როცა სკოლაში შეხვალთ,  
წიგნს დაეცემა სხივების ალი,  
იკოდეთ, რომ აქ საყვარელ მერხთან  
ბავშვს ამიხილეს პირველად თვალი.

ბავშვს ამიხილეს პირველად თვალი  
და შემასწავლეს ცხოვრების სიბრძნე;  
ჩვენი წარსული და მომავალი  
ამ ნათელ ჭერქვეშ პირველად ვიგრძენ.

„ღედა ენიდან“ თქვენსავით წყნარად  
ვიზეპირებდი უკვდავთა პწკარებს,  
თუ როგორ უნდა გვიყვარდეს მარად  
ჩვენი დიადი სამშობლო მხარე.

როს იწვებოდა ყანა, ტყე-ველი,  
ვერაგებს ჩვენი მოსპობა სურდა, —  
მაგონდებოდა დაუფიწყარი  
გაკვეთილების სინათლე მუდამ.

— წინ, — მეძახოდა ყოველი სიტყვა,  
საყვარელ წიგნთა ყოველი პწკარი.  
რეკდა ამაყად გრიგალში იქაც  
მშობლიურ სკოლის წკრიალა ზარი.

ახლა, როს ბრწყინავს აპრილის დილა,  
გზას მისდევთ, ურთიერთს ყვავილებს ესვრით,  
თქვენს სიხარულში, თქვენს ხმაში ტკბილად  
ჩემი ბავშვობის უღურტული მესმის.

პახანავ მოკანელი



# ქროდი ქენი ჩინ დაჯხვდება

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

ერთხელ სანდრო მახლობელ სოფელში ნათესავთან გაგზავნა მამამ. გახარებული ბიჭი შეხტა, მეტრიალდა და სოფლის შარაზე გავარდა.

მიდიოდა და მიიმღეროდა.

ცოტა ხნის შემდეგ პატარა მდინარეს მიადგა, რომელზეც საცალფეხო ხიდად ფიჭვის გრძელი მორი იყო გადებული.

გავიდა თუ არა სანდრო ხილზე, მობრუნდა, ჯერ ხიდი შეათვალიერა, მერე მახლობელ მესერთან მივიდა, სარი ამოაძრო და დიდი ვაი-ვაგლახით ასწია ხიდის ბოლო. შემდეგ მორს ისე მოხერხებულად დაუდო ქვევით მრგვალი ქვა, რომ ფეხის შედგმისთანავე მორი გადატრიალდებოდა.

— გამოივლის მგზავრი, შედგება ხილზე და ხიდი გადაბრუნდება. მგზავრი წყალში მოადენს ტყაპანს... ხა, ხა, ხა, ხა, როგორც ამოიწუწუება, რა სასაცილო იქნება!—სთქვა სანდრომ და განაგრძო გზა.

სიცხისაგან ლოყებშეწითლებულს ძალიან მოსწყურდა. მალე გზის პირას მოჩუხჩუხე წყარო გამოიჩნდა. ბიჭუნამ მიიბრინა წყაროსთან და შეუსვენებლად დაეწაფა.

როცა წამოდგა, ირგვლივ მიმოიხედა. მახლობლად ნეხვი ეყარა. სანდროს ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა სახეზე, სწრაფად წაჰკრა ნეხვს ფეხი და წყაროში გადაუშვა.

— გამოივლის მგზავრი, წყალს დაეწაფება და დალევს! ხა, ხა, ხა, ხა, რა სუფთა წყალს დალევს!—სთქვა სანდრომ და წავიდა.

როგორც იყო, მიადწია ნათესავისას, გადასცა მამის დანაბარები, ცოტა შეისვენა და უკანვე გამობრუნდა.

მზე უკვე გადახრილიყო. სანდრო ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა შინისაკენ. კმაყოფილი იყო იმ დღით, მხოლოდ წყურვილი აწუხებდა.

იმ მიდამოებში წყალი არ იყო, გარდა იმ

წყაროს წყლისა, რომელიც რამდენიმე საათის წინ სანდრომ დალია.

ჩაფიქრებული სანდრო დარცხვენით მივიდა წყაროსთან, დახედა და ცუდ ხასიათზე დადგა: ნეხვის ნარჩენები წყაროს ნაპირებს მოსდებოდა. სანდრომ წასვლა დააპირა. იხანა: რა მრჯიდა, წყარო რატომ დავანაგვიანეო. ვერ სძლია წყურვილს, დაიხარა, თვალეზი დახუჭა და აჩქარებით შესვა წყალი.

უგუხებოდ გამოდგა იქაურობას. ისე შევიდა ორლობეში, არც კი გაუგია.

უცებ ზევით აიხედა და სახე გაუბრწყინდა: ღობის გასწვრივ ბლის ხეები იყო ჩამწყრივებული. მწვანე ფოთლებში თვალწარმტაცად ეღვარებდა მწიფე, დაშაქრებული ნაყოფი.

სანდრო უმაღლეს გადახტა ღობეზე, ერთ-ერთ ბლის ხეს წვეროზე მოველო და გამალეზით კრეფდა ბალს. სიჩქარის გამო კარგა მსხვილი ტოტი მოუტყდა. ეს პატრონმა ვაი-გო, ატეხა ყიფინა და სანდროს დაედევნა.

სირბილით გულაძგერებულმა სანდრომ მდინარეს მიადწია, უნდოდა სწრაფად ხილზე გაერბინა, მაგრამ ხიდის ბოლო წყალში ეგდო. შეშფოთებულმა სანდრომ უკან მიიხედა: ორლობეში ბლის პატრონი ჯოხშემართული მორბოდა და იმუქრებოდა. შიშით გონებადაფანტულმა ბიჭმა არ იცოდა რა ექნა, უცებ ისკუპა და მდინარეში შეტოპა. მდინარის ფსკერზე დიდ ქვას ფეხი წაჰკრა, თავი ვერ შეიმავრა და წყალში ჩაიყურყუმალა.

ბლის პატრონი აქაქანებული გამოვარდა თუ არა ორლობის მოსახვევიდან, მიმოიხედა და, რაკი სანდრო ვერ დაინახა, ლანძღვა-გინებით გაბრუნდა უკან.



დასველებული, გონდაკარგული სანდრო ვაი-ვაგლანით ამოვიდა მდინარიდან. ნაპირია მოშორებით ბუჩქებში მიიმალა დასასვენებლად. ცუდად გრძნობდა თავს: ტალღებთან შებრძოლების დროს მდინარის მღვრიე წყალი ბლომად გადაეყლაპა.

უკვე სალამო იყო, სანდრო რომ წამოდგა და შინისაკენ გაუდგა გზას.

ძლიერ აწუხებდა თავისი მარცხი. ახლა

მოაგონდა დედის ნათქვამი: „კარგი ჰქენი და წინ დაგხვდებოა“.

— რატომ გულთან უფრო ახლოს არ მივიტანე ეს სიტყვები? ეუბნებოდა სანდრო თავის თავს.— რა ბრიყვი ვყოფილვარ! დედა რომ ასეთ სიტყვებს გვეტყოდა ყმაწვილებს, მეგონა, ჩვენ გასართობად ამბობს-მეთქი. მაგრამ, დახეთ, ეს სიტყვები თურმე საჭირო ყოფილა.

## იხვი და მტრედი

### იგავი

ერთხელ იხვი და მტრედი სტუმრად იყვნენ ფარშავანგთან. უკან დაბრუნებისას გზაში იხვმა უთხრა მტრედს:

— რა საზიზღარია ეს ფარშავანგი! რა უსიამოვნო ხმა აქვს და რა მახინჯი ფეხები!

მტრედს გაუკვირდა და უპასუხა:

— მე სულ ფარშავანგის ფრთებსა და ბოლოს ვაკვირდებოდი და დრო აღარ დამრჩა მისი ნაკლი შემემჩნია.

თარგმანი შ. ამირანაშვილისა





# მონადირის ნაამბობი

ცა სუფთა იყო, ზენა ქარი ქროდა. ამომავალ მზეს სიყვარულით მივევებე. ნომბერშიც კი მზეს სითბო ჭარბად შემოენახა. ზღვაზე ნებივრობდნენ გარეული იხვები. აფრინდებოდა გუნდი, ზევით აიწევდა, მერე უცებ ზღვას გაეკვროდა, შემდეგ კვლავ ლაქვარდში აიჭრებოდა, იქ ნავარდობდა და თვალთაგან იკარგებოდა.

ჭაობისაკენ გავემართე. ჭილებს რომ მიღუახლოვდი, წელში მოვიხარე.

ჭილი ფრთხილად გადავწიე. ჭაობის პატარა, ნაცრისფერ ქათამს კინალამ ფეხი დავაბიჯე. თვალწინ წამომიფრინდა და გაღმა ბუჩქებში ჩაეშვა. ჭაობზე მოვლით იქითკენ გავეშურე. როდესაც ბუჩქებს მივუახლოვდი, აქეთ-იქით დავიწყე ცქერა, ებრაზობდი. „აი, აქ საღდაც უნდა იჯდეს ქათამი, მაგრამ რომ ვერ ვხედავ!“

ფრთების ტყლამუნმა შემეკრთო. თუმცა შორს ამიფრინდა ქათამი, მაინც ვესროლე. სროლის ხმაზე დიდი, შავი ქათმები ჭაობის ბოლოში წყლიდან მაღლა აიჭრენ, ლაქვარდში შეტრიალდნენ და ჩემკენ გამოსწიეს. თოფი გადავხსენი, ვაზნა გამოვცვალე და ჭილს ამოვეფარე. ერთმა ქათამმა ზღვისკენ გაუხვია, ორი კი პირდაპირ ჩემკენ მოქროდა. ერთი სროლით ორივე ჩამოვაგდე.

ამ დროს გაღმა თოფი გავარდა. ქათმების დიდი გუნდი დაიძრა. თოფის ლულა გავაყოლე და ვესროლე. შუა ჭაობში სამი ჩავარდა. მკერდამდე შეეტობე, სამივე ავიღე. გადარჩენილი, დამფრთხალი ქათმები თავშესაფარს ვერ პოულობდნენ, ჭაობს დასტრიალებდნენ. ვზეიმობდი, ვაზნას ვაზნაზე ვცლიდი. უკანასკნელი ვაზნა რომ დავცალე, ელდა მეცა: ყულფი გახსნილიყო და სამი უსულო ქა-

თამი ჩემ გვერდით ტივტივებდა, ოთხი კი უკვალოდ გამქრალიყო. ძნელია მონადირისათვის ნანადირევის დაკარგვა. ნაპირისაკენ ნაბიჯი რომ გადავდგი, წყალი შეირხა და ქათმის თავი დავინახე. ხელი ვტაცე, მაგრამ მემძიმა. ქათამი ფეხებით ჭაობის ბალახს ჩაბლაუჭებოდა. მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

„დანარჩენებიც აქვე იქნება“, — გავიფიქრე და თვლებს ძალა დავატანე. ღია ნისკარტი შევნიშნე. წყალში ხელი ჩავყავი და ქათამი ამოვიყვანე. ფეხებზე ბალახი ჰქონდა დახვეული.

ოთხივე ვიპოვე. ჩემგან თავი რომ დაეღწიათ, თურმე წყალში ჩაძირულიყვნენ, ფეხებით ბალახსა და ხავსს ჩასჭიდებოდნენ, წყლის ზემოთ მხოლოდ ნისკარტი ამოეყოთ, რომ ესუთქათ.

გამოაცა ამ ფრინველების თავდაცვის გრძნობამ.





# ბუბუკა

გუგული ჩვენში თბილი ქვეყნებიდან ადრე გაზაფხულზე მოფრინდება ხოლომე. ბინადრობს ყველგან, სადაც კი არის ტყე, ჭალა და ბუჩქნარი.

გუგული მწერებით იკვებება. ფრინველებს შორის მას ყველაზე მეტი სარგებლობა მოაქვს მეურნეობისათვის: გუგული სპობს ისეთ მწერებსაც, რომელთაც სხვა ფრინველები არ სჭამენ შხამიანობის ან სხვა მიზეზის გამო..

გუგული ბუდეს არ იკეთებს და არც ბარტყებსა სჩეკს, კვერცხებს სხვა პატარა ფრინველებს უდებს ბუდეში და ბარტყებსაც მათ აჩეკინებს და აზრდევინებს.

რატომ იქცევა გუგულ ასე?

გუგული წლის განმავლობაში ოთხ-ქვეს კვერცხსა დებს, მაგრამ სხვა ფრინველებივით, სხეულის განსხვავებულად აგებულების გამო, კვერცხის დადება მოკლე დროში არ შეუძლია. მაგალითად, ბელურა თავისი ოთხი კვერცხის დადებას ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში ახერხებს. ასევე მტრედიც თავის ორ კვერცხს ორსამ დღეში დებს და შემდეგ კრუხად ჯდება. გუგული კი ექვს-შვიდ დღეში ერთხელ დებს კვერცხს, კვერცხების დადებას თვენახევრის განმავლობაში ასრულებს. ადრე დადებული კვერცხები, სიცხეების გამო, ლაყდებიან და, მაშასადამე, მათგან ბარტყები არ გამოიჩეკებიან. ამიტომაცაა, რომ გუგული კვერცხებს გამოსაჩეკად სხვა ფრინველებს უდებს ბუდეში.

კვერცხის დადების წინ გუგული რომელიმე პატარა ფრინველის ბუდეს მოსძებნის. თუ ბუდის პატრონი ფრინველი ბუდეში ზის, ამ შემთხვევაში, გუგული კვერცხს მახლობლად მიწაზე დადებს.

როდესაც ბუდის პატრონი ბუდიდან ამოფრინდება, გუგული თავის კვერცხს ნისკარტით იღებს და ბუდეში დებს. ერთ ბუდეში ორ კვერცხს გუგული არასოდეს არ ჩადებს.

ბუდის პატრონი ფრინველი სრულიად ვერ ამჩნევს უცხო ფრინველის კვერცხს და თავის კვერცხებთან ერთად მასზედაც ჯდება კრუხად, გამოიჩეკს და, თავის ბარტყებთან ერთად, გუგულის ბარტყეზედაც იჩენს დედობრივ მზრუნველობას.

გუგულის ბარტყი უფრო დიდია ხოლომე, ვიდრე ბუდის პატრონის ბარტყები. როდესაც დედას ბარტყებისათვის მოაქვს საკვები, გუგულის ბარტყი, როგორც ყველაზე დიდი, ადვილად სწვდება დედის ნისკარტს და ართმევს საკვებს. ასე ხდება ყოველ დღე, რის შედეგად ბუდის პატრონის ბარტყები შიმშილით იხოცებიან. გარდა ამისა, გუგულის ბარტყი ბუდეში ვერ ისვენებს, ფართხალებს და თავის დობილებსა და ძობილებს ბუდიდან ჰყრის. ისინიც ბევრჯერ უპატრონოდ ილუპებიან. ამგვარად, ბუდის პატრონს ხშირად აღსაზრდელად რჩება მხოლოდ გუგულის ბარტყი.

გუგულს „შეცდომა“ მოსდის: იგი ზოგჯერ ისეთ ბუდეში ჩადებს კვერცხს ნისკარტით, რომელსაც მეტად ვიწრო გამოსასვლელი აქვს, რაც საკმარისია ბუდის პატრონისათვის, ხოლო გუგულისათვის კი არა. ასეთ შემთხვევაში წამოზრდილი გუგულის ბარტყი ბუდის გამოსასვლელიდან ვერ გამოდის და ილუპება.

აკილი ჯანაშვილი



ნარკვევი



აფხულის პაპანაქება სწევდა მინდორს, ბალახს ეძებდა გარეჯის მთის კალთებს შეფარებული ცხვარი.

შელამდებოდა... ფარეხთან აკენესდებოდა მწყემსის სალამური. ნიავს მიჰქონდა სევდიანი ხმა. ნეტავ, რას უკრავდა, ვის შესტიროდა რუსთავის მიწაზე მღვარი მწყემსი?

ირგვლივ ღუმელი და მოწყენილობა სუფევდა.

ახლა აქ ქალაქი შენდება. რუსთავი!

ეს სახელი ჰქვია იმ ადგილს, სადაც ოდეს-ღაც ბოსტან-ქალაქი ყოფილა. საუკუნეთა მანძილზე ყველაფერი ფერფლად ქცეულა. უამთა განმავლობაში აოხრებულა ძველი რუსთავი. გადარჩენილა მხოლოდ მისი მშვენიერი სახელი—რუსთავი!

ახლა აქ შენდება მეტალურგიული გიგანტი. მალე აბოლდებიან მარტენის ღუმელთა კვამლსადენები. ცას მიაშურებენ კვამლის ღრუბლები. თვალი ვერ მისწვდება მტკვრის ორივე მხარეზე გადაშლილ ქალაქს. მოგესმებათ გუგუნის, ორთქლმავლების ქშენა. თვალს მოგჭრით ვეება ბრძმედების ელვარება. აქ დაიბადება ლითონი.

შორიდანაც კარგად გამოჩნდება სოციალისტური ქალაქი, ქარხნები, პარკები, მშვენიერი სახლები.

მოასფალტებულ გზატკეცილებზე იქროლებს ათასობით მანქანა. შეუწყვეტლივ იგუგუნებენ რკინიგზის ლიანდაგები. ზუსტად წავლენ-მოვლენ სპეციალური სამგზავრო მატარებლები: „თბილისი-რუსთავი“, სატვირთო მატარებლები: „რუსთავი-ტყიბული“.

„რუსთავი-ტყვარჩელი“, „რუსთავი-დაშქესანი“, „რუსთავი-ბაქო“.

ათასამდე ვაგონს გაატარებს ყოველდღიურად რუსთავის რკინიგზის სადგური. აზერბაიჯანიდან მოვა: დაშქესანის რკინის მადანი, ბაქოს ნავთი, საცხები ზეთი, ბენზინი და მანუთი; რუსეთის შორეული მხარეებიდან—ხე-ტყე, საქართველოს კუთხეებიდან კი — ზესტაფონის ფეროშენადნობები, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ქვანახშირი.

მეტალურგიულ ქარხანას ყოველწლიურად დასჭირდება ერთ მილიონამდე ტონა რკინის მადანი. დაშქესანის მთებში აღმოჩენილი საბადო ასი წლის მარაგს შეიცავს. ჩვენი ქვეყნის გეოლოგები რკინის მადნის ახალ საბადოებს ეძებენ საქართველოს მიწის წიაღში.

დიდი იქნება რუსთავის მოთხოვნილება ქვანახშირზე. აუარებელ საწვავ მასალას მთანთქავენ უზარმაზარი ქარხნები. ყოველწლიურად უნდა მიიღოს რუსთავმა ერთნახევარი მილიონი ტონა ქვანახშირი, ანუ დღეში 4 ათასი ტონა, რაც 5-6 ემელონს შეადგენს.



მიდამოს გადახედავს მარტენის ღუმელების რვა უზარმაზარი კვამლსადენი. მათ ოცი კილომეტრის სიშორიდანაც დაინახავთ.

ამ ღუმელებში 1.600-1.800 გრადუსი ტემპერატურა გააძნობს დაშქესანის რკინის მადანს.

ტექნოლოგები გამოარკვევენ წრთობის ხარისხს. ამოძრავდებიან ბუნკერები. საჭის ერთი გადაბრუნებით ამოქმედდებიან საჰაერო


ამწვევები. ღუმელიდან გადმოდუღდება სითხე—რუსთავის ლითონი. ორმოცდაათტონიან ყალიბში ჩაისხმება. მანქანა მას გაიტანს მეორე საამქროში. აქ ნაღობი განაწილდება ხუთტონიან, ერთტონიან ყალიბებში და ასე შემდეგ...

დაშქესანის მადანი ლითონად იქცევა, მას შეედღულა ზესტაფონის ფერო. ყალიბში მოქცეული დაშქესანის მადანი კვლავ შეიცვლის ადგილს. მას ქარხნიდან გამოიტანენ და ვაგონებში ჩატვირთავენ.

—ნეტავ, სად წავა, სად გაიგზავნება?

— თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ბაქოში, ერევანში და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ სამრეწველო ქალაქში!

ნაწილი კი აქ დარჩება, რუსთავში. ნავლინის ქარხანაში ამოყოფს თავს. ისევ ცეცხლში



მოექცევა, გახურდება, გავარდნდება და მანქანებზე იგლინებს, ნაპერწკლებით იტკაცუნებს, სანამ ახალ ფორმას მიიღებდეს.

— მაინც როდის დაისვენებს ამდენ ცეცხლსა და მოძრაობაში გამოწრთობილი ლითონი?

— ჩაშინ, როცა იგი მზა პროდუქციად იქცევა. მას ახალ სახეს მისცემენ ზეინკლები, ხარატები, მბურღავები. რუსთავის ლითონით გაკეთებულ ნაწილებს ვნახავთ გემებზე, მატარებლებზე, თვითმფრინავებზე, ელექტროსადგურებში. მას ვნახავთ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე, ტრაქტორებზე, კომბაინებზე. მისგან გაკეთდება ათასგვარი ხელსაწყო, დაზგა, ტანკების ჯავშნები, გაკეთდება ნემსიც, საათის ისარიც და ჭიანჭურის უბრალო სიმიც, ჩამოისხმება ნავთისა და წყალსადენის მილები. ჩვენი სამშობლოს აყვავებას მოემსახურება რუსთავის ლითონი.

მეთხე სტალინური ხუთწლედის დამლევს რუსთავი გამოუშვებს 500 ათას ტონა ფოლადს, 430 ათას ტონა თუჯს, 380 ათას ტონა სხვადასხვა ნავლინს.

# ნაწილი & ელექტრონი

საქართველოს დედა-მდინარე—მტკვარი ქალაქ რუსთავის მოსამსახურეც ხდება. რუსთავის ლითონკომბინატს დასჭირდება მილიონობით კუმბეტრი წყალი. მტკვარი იდენს ქარხნების მიწისქვეშა მილებში, მორწყავს პარკებსა და ხეივანებს, აამოძრავებს მოტორებს.

სასმელ წყლად კი რუსთავს ბულაჩაურის ნაკადულები ექნება. 75 კილომეტრის სიშორიდან მოვა ახალ სოციალისტურ ქალაქში ანკარა და ცივი წყალი. ახალი წყალსადენის სიმძლავრე იქნება 138 ათასი კუმბეტრი დღე-ღამეში. რუსთავს მხოლოდ ამის მეხუდელი დასჭირდება. დანარჩენი კი თბილისს მოხმარდება.



რუსთავში შენდება უდიდესი თბოელექტროცენტრალი. მარტენის საამქროს ახლოს უზარმაზარი ტერიტორია უჭირავს ახალი თბოელექტროსადგურის შენობას. მისი შექმნა გაბრწყინდება ახალი ქალაქი.



თბილისიდან რუსთავამდე გზატკეცილის ორივე მხარეს იშრიალებენ გზატკეცილის გულშაგები—მწვანე ნარგავები. ქალაქში შესვლისას ჯერ პატარა ინდივიდუალური კოტეჯები შეგხვდებათ: ბაღებში ჩადგმული ორსამთვალისანი სახლები. სახლების წინ—ტოტებგაშლილი კაკლის ხეები, აკაციები, ნაძვები და ფერად-ფერადი ყვავილები.

კოტეჯებს გაშორდებით. მტკვარზე შეხედავთ ვეებერთელა ხიდის თაღებს. ოთხი მანქანა ერთდროულად გაეტევა ხიდზე. რუსთავის ხიდი უფრო განიერი და დიდი იქნება, ვიდრე ჩელუსკინელთა ხიდი თბილისში.

ხილთან კაშხალით აიწვევს მტკვარი. ხელოვნური ტბა დაგუბდება შესანიშნავი პარკის გარშემო. ტბაზე ივლიან ნაგები, მოეწყობა



შემოზიდვას უნდა რკინიგზის 80 ათასამდე ვაგონი. თუ თითოეული ვაგონის სიგრძეს, მისი მისაბმელებიანად, ჩავთვლით 10 მეტრად, ეს იქნება 800 კილომეტრი, ანუ ორჯერ უფრო მეტი მანძილი, ვინემ თბილისიდან ბათუმამდე და 10-ჯერ უფრო მეტი, ვინემ თბილისიდან გორამდეა. წარმოვიდგინოთ მთელ ამ გზაზე საშენ მასალით დატვირთული ვაგონების ჩამწკრივება, და ადვილი მისახვედრი გახდება, რაოდენ გრანდიოზულია ქალაქ რუსთავის მშენებლობა.

საიდან არ მოდის საშენი მასალები და მოწყობილობანი!

ღონბასი, ლენინგრადი, კუნეცკი, ჩელიაბინსკი, მაგნიტოგორსკი რუსთავს აწვდიან მანქანებს, ხელსაწყო-იარაღებს და ათასგვარ სათადარიგო ნაწილს; ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან და კრასნოდარის მხარიდან მოდის ხე-ტყე; გორკიდან — ავტომანქანები; ბაქოდან—ნავთი და მავთული; ტყვარჩელ-ტყიბულიდან — ქვანახშირი; კასპიდან—ცემენტი; სომხეთიდან—ტუფი.

მოწყობილობათა ნაწილი საზღვარგარეთიდან მოდის, მაგრამ რუსთავი ძირითადად საბჭოთა კავშირში დამზადებული მანქანებისა და მასალებისაგან შენდება.

15 ათასზე მეტი მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მუშაობს რუსთავის მშენებლობაზე.

1948 წლის პირველ ნახევარში მარტენის საამქროდან გამოვა რუსთავის პირველი თუჯი.

საბანაო, მომრავლდება თევზი. ჩინებულად გაერთობიან რუსთაველები.


ქუჩებში წამდაუწუმ ისრიალებენ ტროლეიბუსები, ავტობუსები. ლოდინი არ დაგჭირდებათ. შეუფერხებელი იმუშავენს ქალაქის ტრანსპორტი.

საკმაოდ ვრცელი იქნება საცხოვრებელი უბნები. მას მტკვრის მარჯვენა მხარე ექნება დაკავებული მდინარიდან მთის ძირამდე. სახლებში ყველაფერს ელექტრობით გააკეთებენ.



დიდი სტალინის თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი ახალ რუსთავს.

დიდია რუსთავის მშენებლობა. მარტო ერთი წლის განმავლობაში საჭირო მასალის





ინდოეთში ჩასული ერთი ევროპელი მოგზაური მდინარის პირას მიდიოდა და გამყოლს ებასებოდა. ნაპირის გასწვრივ პალმები იდგა. ცნობისმოყვარე მოგზაური გარემოს აკვირდებოდა. უცებ მისი ყურადღება ერთმა პალმამ მიიპყრო, შეჩერდა და გამყოლს ჰკითხა:

— ის რა არის, პალმაზე რომ მიბობლავს?

— თევზია, ანბასი.—უპასუხა გამყოლმა.

— თევზს ხეზე რან უნდა?!


გაოცებული მოგზაური მალე დარწმუნდა, რომ გამყოლი არ ტყუოდა.

\*\*

ანბასი, საკვირველი თევზია, სანადიროდ გამოდის წყლიდან, ადის ხეებზე და იქ იჭერს მწერებს.

როდესაც გვალვია, ეს თევზი ლამში ჩაფელობა, ლამი გახმება და ანბასიც ტალახთან ერთად „ხმება“.

ადგილობრივი მცხოვრებნი ამ დროს დამშრალი მდინარის კალაპოტში თევზაობენ. აიღებენ ბარს, წერაქვს, დაჰკრავენ მიწას და ბელტს ბელტზე გადმოაწვენენ. იპოვიან ანბასებს და შემხმარ ტალახს შემოაცლიან. ტალახშემოცლილი ანბასები გაცოცხლდებიან, და ამოძრავდებიან, მაგრამ მეთევზეებს ვერსად წაუვლენ.



გვალვის დროს სძინავთ ლამში ჩაფეულულ ანბასებს, მაგრამ როცა წვიმა მოვა (ინდოეთში კი კოკისპირული წვიმები იცის), ანბასებს ჩამოსცილდება ლამი, ამოძრავდებიან და გაუდგებიან გზას უკეთესი საცხოვრებლის მოსაძებნად.

\*\*

ვთქვათ, ინდოეთში ხართ. წვიმს. ტყეს შეაფარეთ თავი. უცებ მოგესმათ ხმაური—რაღაც არსებები მობობლავენ. აი, გამოჩნდნენ კიდეც. თქვენს გაოცებას საზღვარი არ აქვს: აუარებელი თევზი მოდის. ეს ანბასებია. ისინი ასე იმოგზაურებენ, სანამ არ წააწყდებიან მათთვის გამოსადეგ მდინარეს ან ტბას.

**შ. თაბუკაშვილი**

ნახატები გ. ჩირინაშვილისა





ზღაპრული მეჩვენებოდა გზა, როდესაც თოვლით დაფარულ ირანის ქედზე გადავლით პირველად მივფრინავდი ბაღდადში\*.

თეირანიდან გაფრენის ორი საათის შემდეგ ჩვენ მივფრინავდით სიციხით ამომწვარ მესოპოტამიის დაბლობზე. მაღლიდან აქა-იქ მოჩანდა ფინიკის პალმების ოაზისები და ერაყის სამეფოს დედაქალაქ ბაღდადისაკენ მიმავალი აქლემთა ქარავნები.

შორს გაბრწყინდა წყალუხვი მდინარის ტივროსის ვიწრო ზოლი... რამდენიმე წუთის შემდეგ დავინახეთ თვით ბაღდადიც ფირუზისფერი ძველებური მეჩეთების გუმბათებითა და სასახლეების ნანგრევებით, რომლებიც ოდესღაც ძლევამოსილ არაბთა ხალიფებს ეკუთვნოდათ.

ჩვენს მრავალძრავიან, სწრაფმავალ თვითმფრინავს არ შეეძლო ბაღდადის აეროდრომზე დაშვებულობა, ამიტომ განვაგრძეთ გზა დასავლეთისაკენ, გადავუფრინეთ შუამდინარეს, მღვრიე ევფრატს და დავეშვიტთ საბანიის ტბის ახლოს ერაყ-ინგლისის მთავარ აეროდრომზე, რომელსაც სამართლიანად ეწოდება „საქვეყანათშორისო ჯვარედინი“. აქ გაივლის ყველა საჰაერო მთავარი გზა ევროპიდან ინდოეთში, ჩინეთში, ინდონეზიასა და ავსტრალიამდე.

ერთი საათის შემდეგ ტაქსით ქალაქისაკენ მივქროდი.

დიდი ქალაქის მტკრიან ქუჩებში იანვრის პაპანაქება იდგა. მზე უხვად აფრქვევდა სხი-

ვებს ყვავილნარებზე, სადაც ყვავდა ვარდი, ღია ნუჟრი და სხვა ყვავილები.

მოვინდომე ჩქარა დაძეძთავრებინა უცხოელისათვის აუცილებელი ფორმალობა და გავშორებოდი ქალაქის ცენტრს—მის ევროპულ მორთულობას, რესტორნებს, ბახკებს, მაღაზიებს. შინდოდა ქალაქის განაპირას გავცნობოდი ერაყის მცხოვრებთ, თვით ხალხს, რომელსაც ერაყის მიწა-წყალზე ბინადრობენ.

ხალისით დავდიოდი ბაზარში. ეს არის ლაბირინთი, ზოგან ვიწრო, ზოგან განიერი ქუჩებით, რომელიც მცხუნვარე მზისაგან დაჩრდილულია პალმების ტილობებით და ზოგან მხოლოდ პალმების ფოთლებით. სახეგრად ჩამობნელებულ ბაზარში დილიდანვე გაცხოველებული ვაჭრობაა. იყიდება სურსათ-სანოვაგე, აღმოსავლური ტკბილეულობა, სხვადასხვა საოჯახო ნივთი, ავეჯი, ძვირფასი მორთულობანი, საიუვილირო ნაკეთობანი, რასაც იქვე აკეთებენ ხელოსნები. ხშირად შევიდი-რვა წლის ხელოსნებსაც შეხვდებით.

საერთოდ აღმოსავლურ ქვეყნებში ბავშვები სახელოსნოებში მუშაობას ხუთი-ექვსი წლიდან იწყებენ. საცოდავი სანახავი არიან ეს პაჭია, გამხდარი, ლუკმაპურისათვის მომუშავე ბავშვები.

ერაყში ყოველ 100 მცხოვრებზე 93 წერაკითხვის უცოდინარია. საშუალო განათლებას მხოლოდ ვაჭრების, მემაჟღეღებისა და მდიდარი მოხელეების შვილები ღებულობენ. გლეხებისა და ხელოსნების შვილები ან სრულიად არ სწავლობენ, ან, თუ სწავლობენ, ისიც სასულიერო სკოლებში.

რას წარმოადგენს ეს სკოლები?

არა ერთხელ დავკვირვებივარ სოფლებსა და პატარა ქალაქებში, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები. ეზოში, პატარა ქონხანებში, პირდაპირ მტკრიან მიწაზე ფეხებმორთხმულ-

\* ამ ნარკვევის ავტორი საბჭოთა სწავლული ნიკოლოზ სერგისძე შერბინოვსკი იყო საერთაშორისო კომიტეტის წევრი, რომელმაც კალიბრებთან ბრძოლის მიზნით ამოგზავნა ახლო აღმოსავლეთში და ინდოეთში, ნ. ს. შერბინოვსკი მოგვეთხოროს, თუ რა ნახა ამ ქვეყნების ერთ-ერთ მხარეში — ერაყში.

ლი, ნახევარწრედ ზის მოლას წინ 10-15 ბიჭი.

მოლა მათ სასულიერო წიგნს—ყურანს უკითხავს. მოსწავლეები ერთხმად, დამღერებით იმეორებენ წაკითხულ სტრიქონებს მანამ, სანამ არ დაიზევირებენ. ამავე დროს ყველა ბიჭუნა თანაბარი რხევით ქანაობს წინ და უკან.

თავიდან ვერ გავიგე, თუ რისთვის იყო საჭირო ეს ქანაობა, მაგრამ უცებ ერთი მოსწავლეთაგანი შეჩერდა და მისი მძინარე თავი მკერდზე დაეშვა. ამ დროს მოლამ გრძელი ჯოხი, რომელიც იქვე ედო, ბავშვს თავზე რამდენჯერმე დაარტყა. მაშინ კი მივხვდი, თუ რისთვის იყო საჭირო მოსწავლეების ქანაობა წინ და უკან.

ერაყი უდაბნოსებური, ცხელი მხარეა. ძირითად მცხოვრებთა—არაბთა უმრავლესობა მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა დასავლეთისა და სამხრეთის უდაბნოებში. ზოგიერთი ტომი მდინარეების ტიგროსის, ეფფრატისა და შატ-ელ-არაბის ნოყიერ ხეობებში მისდევს მიწათმოქმედებას. აგრეთვე ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც დაფარულია ტყეებითა და მთის აყვავებული მდელოებით, მცხოვრებნი ეწევიან მეცხოველეობას, მებაღეობასა და მიწათმოქმედებას.

მდინარე შატ-ელ-არაბის ნაპირების გასწვრივ იზრდება მსოფლიოში სახელგანთქმული ფინიკის პალმები.

მდინარე შატ-ელ-არაბი თავისებური მდინარეა. ერთი წლის შემდეგ, როდესაც ინდოეთიდან ერაყში გბრუნდებოდი, მდინარის აღმა ოკეანის გემით მივცურავდი. ვტკბებოდი პალმების ჭალების ტროპიკული სურათებით, მდინარეში მოცურავე უამრავი ბატების, იხვების, გედების ცქერით.

უცებ აღმოჩნდა, რომ გემი, მიმართულებას შეუცვლელად, მდინარის დინების მიმართულებით მიცურავდა. მდინარემ დაიწყო დინება უკან. პირველი დანახვით ეს საკვირველი მოვლენა მარტივად აიხსნება. როდესაც ზღვის მოქცევა იწყება, წყალი სპარსეთის უბეში 2-3 მეტრით იწევს ზევით, აწვება მდინარის წყალს და აიძულებს იდინოს პირუკუ. ამ დროს წყალი შეიჭრება უამრავ არხებში და რწყავს პალმების ჭალებსა და ნათესებს. ამ საათებში არაბები საქონლით დატვირთული ნაევებით მიემართებიან ქალაქებისა და სოფლებისაკენ, რომლებიც რამდენიმე კილომეტრით არის მდინარიდან დაშორებული.

პალმა უმნიშვნელოვანესი მცენარეა არაბეთის მხარეების მოსახლეობისათვის. ის თავი-



ასი ათასობით ასეთი არაბი ბიჭუნები ეწევიან ერაყში მძიმე მუშაობას.

სი ნოყიერი ფინიკით კვებავს ხალხს, წელიწადში 100 კილოგრამამდე ნაყოფს იძლევა.

10 ათასი ტონობით იგზავნება ფინიკი ინგლისში. ინგლისსავე გააქვს ერაყიდან, როგორც საკუთარი კოლონიიდან, ნავთი, ხორბალი და ყოველგვარი სიმდიდრე.

არაბები მეტწილად მალალი, ლამაზი ხალხია, შავი ხეული თმებით და შავგვრემანი მზისაგან დამწვარი კანით. იცვამენ გრძელ, თითქმის კოჭებამდე, „ნიტონებს“, ანუ პერანგებს. ატარებენ განიერ შარვლებსა და სანდლებს. თავზე სულ მუდამ თეთრი ნაქსოვი თავსაბურები ახურავთ. ქალები ატარებენ შავ ჩადრებს და თავიდან ფეხებამდე არიან გახვეული შიგ: სარწმუნოება არ აძლევთ უფლებას, რომ სახე უჩანდეთ.

მზისგან ვაღამწვარ ერაყის უდაბნოების შემდეგ, სადაც პეტიალობენ არაბი ბედუინები. ბალები და პალმების ჭალები მდინარეების ნაპირას აღამიანს ზღაპრულ სამეფოდ ეჩვენება, მაგრამ ყველგან, თვით ოაზისებსა და პალმების ჭალებშიც, გამოკვივის განსაკვირვებელი სილატაკე. სოფლებში ჩვენ მანქანასთან მოდიოდნენ ათეული მოხუცებული, ილაჯგაწყვეტილი მამაკაცები და ავადმყოფი დედაკაცები, ნახევრად შიშველი ბავშვები, ციებით დასუსტებულნი, ყვავილისა და მოსკიტებისაგან დაკბენილ-დაწყლულებული სახეებით.

ჩვენ ყველგან ვხედავდით სილატაკეს, განათლების მიღებისა და სამედიცინო დახმარების შეუძლებლობას. ვნახეთ ხალხის სრული უუფლებობა, მემამულე-ფეოდალის ან კაპიტალისტ-მწარმოებლისათვის მცხუნვარე მზის ქვეშ მომუშავე ადამიანები. ამ მხარეში ხალხი არ არის თავისი ბედის მმართველი, მათ განაგებენ გარეშენი — მოსული ევროპელები. ერაყი ინგლისის კოლონიაა. ინგლისელები ისე იქცევიან, როგორც ამ ქვეყნის

ნამდვილი პატრონები. ჰყავთ ტანკებით, ქვემეხებით, თვითმფრინავებით აღჭურვილი ათიათასობით ჯარი, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ უზრუნველყონ 3.500.000 მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის მშვიდობიანი ცხოვრება...

აი ის სამწუხარო სურათები, რომელნიც დარჩნენ ჩემს მეხსიერებაში ამ საინტერესო მხარის—ერაყის სამეფოში მოგზაურობიდან.

თარგმანი მლ. ღმვიძისა



## ს ტ უ მ ა რ ი

იმერეთში გაზონილი იგავი

ერთ გლესს დაღამებისას შორეული ნათესავი ეწვია. ერთმანეთი რომ მოიკითხეს, მასპინძელმა ცოლს თვალით ანიშნა, სტუმარს პატივი უნდა ვცეთო. დაჰკლეს ვარიკა და ტკბილად ივახშმეს.

მეორე დღეს მასპინძლები დაფაცურდნენ და სადილად დედალი მოხარშეს. ეგონათ ნასიამოვნები სტუმარი საღამოს შინ წავიდოდა, მაგრამ ღამითაც მათთან დარჩა.

მესამე დღეს სირცხვილში ჩავარდნილი მასპინძლები ყვინჩილას ხორცით გაუმასპინძლდნენ სტუმარს.

საღამო მოახლოვდა, სტუმარი წასვლას არ აპირებდა. გლეხი თავის გულში ბრაზობდა. ცოლს მაინც ძალად გაუღიმა და სტუმრის გასაგონად უთხრა:

— რაც დასაკლავი გეყავდა, ყველაფერი დავკალით, ქალო, და ხვალ არ გიცი რა ვჭამოთ!

სტუმარმა იფიქრა, თუ მეტი დასაკლავი არა ჰყავთ, ხვალ აქ გაჩერება არ ღირსო, და მასპინძელი გააფრთხილა:

— დილას ადრე გამადვიძე, შინისკენ გზას გავუდგები, თორემ შემდეგ დაცხება და მგზავრობა გამიძნელებო.

— როგორც კი ჩემი მამალი იყივლებს, მაშინვე გაგადვიძებო!—უნებლიეთ წამოიძახა გახარებულმა მასპინძელმა.

სტუმარს გაეღიმა და სთქვა:

— მამალი თუ გყავს, რა გაწუხებს, შე კაცო, ხვალ ის დაჰკალი... სტუმრის წასვლა კი საღამოს სჯობს.





ოქტომბერი  
დღე-ღამე უმზავს  
გვს კვლავ



ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ბევრი თქმულება შეუნახავს ხალხს უმზის შესახებ. ალბათ, მისი მიუვალობისა და მიუწვდომლობის ბრალია, რომ სვანეთის ამ ულამაზესი მწვერვალის ირგვლივ მრავალი უცნაური თქმულება არსებობს.

ალპინიზმის ისტორიაში აღრიცხულია ამ მწვერვალზე ასვლის ორმოცამდე ცდა, მაგრამ მათ შორის მხოლოდ თორმეტიორედ დათავრებულა წარმატებით. უმზამ 7 ადამიანი იმსხვერპლა.

\* \* \*

1943 წლის ოქტომბრის მიწურულში მესტიის ჩამოვიდა საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა ჯგუფი ექვსი ალპინისტის შემადგენლობით. ჯგუფს ალექსანდრე ჯაფარიძე\* ხელმძღვანელობდა. ყველა გააოცა მათმა გადაწყვეტილებამ უმზის მწვერვალზე ასვლის შესახებ: ამ დროს კავკასიონის მთებზე უკვე ზამთარია.

27 ოქტომბერს მესტიის ახალგაზრდობამ სოფელ ბეჩოსაკენ გააცილა ექსპედიცია.

ბეჩოში რომ მივიდნენ, ამინდი შეიცვალა. უმზას რამდენიმე დღის განმავლობაში არ მოსცილებია ნისლი და ღრუბელი. მთამსვლელთა ჯგუფი ხელსაყრელ ამინდს დაელოდა. 31 ოქტომბერს, გათენებისას, დაიწყო გამოდარება და ალპინისტები დაიძრნენ გულის ყინვარისაკენ. ღამე გულის ყინვარის ძირში გაათიეს. 1 ნოემბერს დილით გაე-

შურნენ უმზაზე ასასვლელად. ყინვარის ნაბრალეებით დასერილი გულის შუა ნაწილი გადაჭრეს, მის მარჯვენა მხარეზე გადავიდნენ და განაგრძეს სვლა ძლიერ დაქანებულ ფართო თოვლიან კულუარებზე. დღის 4½ საათზე მიაღწიეს 3.500 მეტრის სიმაღლეს. ვინაიდან დაღამებამდე ვერ მოასწრებდნენ მეორე უფრო ციცაბო და ყინულოვან კულუარში გადასვლას, არჩიეს ღამე იქ გაეთიათ.

მეორე დღეს დილით ალპინისტებმა დაიწყეს ვიწრო და ციცაბო, კლდოვან-ყინულოვანი კულუარის ავლა. ყოველი ნაბიჯის გადადგმა საქნელო აღმოჩნდა და საჭირო გახდა პალოებისა და თოკების გამოყენება. დაბინდებისას მიაღწიეს 4.000 მეტრის სიმაღლეს—უმზისა და გულის ყინვარების წყალგამყოფი ქედის ქიმს. ქედზე სქელ ფენად იდო ახალი თოვლი. სუსხიანი ქარი ქროდა.

3 ნოემბერს მთამსვლელებმა, მიაღწიეს რა უმზის სამხრეთი კალთის ძლიერ დაქანებული თოვლიანი ფერდობის ბოლოს, გზა განაგრძეს უმზის სამხრეთით, შვეული კლდის მიმართულებით. დღის სიმციერემ საშუალება არ მისცათ კლდის ძირამდე მისულიყვნენ. იძულებული გახდნენ ბანაკი გაემართათ კლდიდან ორასიორდე მეტრის დაშორებით, სოვლიანი ფერდობის მარჯვენა კიდეზე.

4 ნოემბერს ალპინისტებმა გადალახეს დარჩენილი გზა უმზის სამხრეთით შვეული კლდის ძირამდე, ეგრეთწოდებულ „წითელ კუთხემდე“, და ღამე იქ გაათიეს.

5 ნოემბერს გზა განაგრძეს უმზის დასავლეთით, კლდოვანი კლდის ძირისაკენ, რომლის სიმაღლე დაახლოებით 150 მეტრს აღწევს და რომელიც ყველაზე უძნელესი და სახიფათო ნაწილია უმზის მწვერვალზე ასასვლელად. მიაღწიეს რა კლდის ძირს, შვეულ კედელზე დაიწყეს ასვლა რკინის პალოებისა და თოკების საშუალებით. თითოეულ მათგანს თან მოჰქონდა 2 ფუთამდე ტვირთი. შეუძლებელი გახდა კედლის ერთ დღეში დაძ-

\* ალექსანდრე (ალიოზა) ჯაფარიძე (1901-1945 წ.)—სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი — ცნობილი მთამსვლელია. მას ეკუთვნის მეტად მნიშვნელოვანი ასვლები თეთნულდზე (1930 წ.), უმზაზე (1934 წ.), ურთულესი და ალპინიზმის ისტორიაში სარეკორდო ტრავერსი ცენტრალურ კავკასიონზე, სადაც გაიარა 80 კილომეტრზე მეტი 5.000 მეტრის მულმივ თოვლ-ყინულოვანი ქედებით. შემდეგ ზამირში ასვლა უსახელო მწვერვალზე (6570 მეტრი) და პირველი ზამთრის ასვლა უმზაზე.

ალ. ჯაფარიძემ 1945 წელს თავისი ჯგუფით ორ კვირაზე მეტი დაჰყო უმზის მწვერვალზე, უნაგირაზე, სადაც უამინდობის გამო დაიღუპა.

ლევა. მთამსვლელებმა ერთ-ერთი ამხანაგი კლდეზე დატოვეს თოკით დაკიდებული მათ მიერ ატანილ ტვირთთანად, ხოლო დანარჩენები ქვევით დაბრუნდნენ კლდის ძირში დასაბანაკებლად, ვინაიდან შეუძლებელი იყო ერთად კლდეზე მათი მოთავსება.

6 ნოემბერს დილით დაიწყო გადამწყვეტი შეტევა, რომ გადაელახათ უშბის დასავლეთი კედელი, რომელსაც არა ერთი და ორი ცნობილი უცხოელი მთამსვლელი გამოუბრუნებია გაწბილებული ზაფხულის გრძელ და თბილ დღეებშიც კი.

ალპინისტები მთელ ძალ-ღონეს ძაბავენ, ზუსტად იყენებდნენ ყოველ წუთს და შეთანხმებული მოქმედებით მტკიცედ მიიწვედნენ წინ. დაბინდებისას მიაღწიეს კედლის ზემო ნაწილში არსებულ ყინულოვან კულუარს. გასასვლელი იყო შუშისებური ყინულით დაფარული მოკლე კულუარი და მის შემდეგ ასავლელი იყო კიდევ შვეული კლდოვანი კედლის დარჩენილი ზემო ნაწილის ორმოციოდე მეტრი. აუცილებელი იყო კედლის ამ ნაწილის ავლა, რადგან მთამსვლელებს დადგომაც კი არსად შეეძლოთ, ჩანთების სადმე მოთავსებაც შეუძლებელი იყო. მთამსვლელები იდგნენ რკინის პალოებზე თოკებით მიბმულნი, ასევე თოკებით იყო მიბმული ჩანთებიც.

მდგომარეობა ძალზე დაძაბული იყო. დაძაბული იყო მთამსვლელთა აზრი და გრძობა, მაგრამ მათ სიტყვები ვერ მოენახათ აზრის გამოსათქმელად. რამდენიმე წუთით იქ ჩამოვარდნილი სიჩუმე თითქმის ყველაზე მძიმე მომენტი იყო მთელი ასვლის განმავლობაში. საჭირო იყო სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. „უცადეთ ჩემს ნიშანს“, — უბარებს ალექსანდრე ჯაფარიძე ამხანაგებს. მიაქვს თოკის ბოლო და იწყებს ყინულოვან კულუარში საფეხურების ჭრას. ისმის ყინულის ნაფლეთების უფსკრულში ცვენის ხმა.

ერთი საათის შემდეგ, ღამის წყვილაღში, მწვერვალის თოვლიანი ქიმიდან გაისმა ალექსანდრე ჯაფარიძის ხმა: „თოკი დამაგრებულა, გამოჰყევით“.

ღამის 12 საათი იქნებოდა, როდესაც მთამსვლელები მთელი თავისი ბარგით ასცდნენ უშბის დასავლეთი პიტალო კლდის თავს და სამოციოდე მეტრის გავლის შემდეგ მწვერვალის თოვლიან თხემზე გაშალეს კარავები და მოეწყნენ ღამის სათევად.


ნაშუალამევს მოვარდა ძლიერი ქარბუქი, დაიწყო თოვა. 7 ნოემბერს დილით ქარბუქი ცოტა შენედა, თუმცა სქელი ნისლი და ღრუბელი ყველაფერს ფარავდა გარშემო. მწვერვალამდე 150 მეტრი იყო დარჩენი-

ლი, სულ რაღაც 2-3 საათის სავალი, და რომ მთამსვლელებს შეესრულებინათ თავისი გადაწყვეტილება და სურვილი—7 ნოემბერს მწვერვალზე ყოფილიყვნენ, აკეცს კარავები და განაგრძეს მწვერვალისაკენ სვლა.

ღლის 12 საათზე, როდესაც მთელი საბჭოთა ქვეყანა ზეიმობდა დიდი ოქტომბრის 26 წლისთავს, მთამსვლელები უკვე მწვერვალზე იყვნენ და მხურვალედ ულოცავდნენ ერთმანეთს გამარჯვებას.

ქარბუქი და თოვა გაძლიერდა. მთამსვლელებმა მოკვეთეს უშბის მწვერვალის გაყინული თოვლიანი წვერი იმ ადგილას, სადაც 1934 წლიდან აღმართულია ქართველ მთამსვლელთა მიერ დადგმული ნიში, და ზედ გამართეს ორი კარავი.

ქარბუქი და თოვა თანდათან ძლიერდებოდა და სალამოსათვის გრიგალისებურ ძალას მიაღწია. ქარბუქი საშინელი ძალით აწყდე-



ბოდა კარგებს, მაგრამ საიმედოდ დაჭიმული და ყინულში ჩაქირული თოკები მედგრად უძლებდნენ ქარტეხილს. ქარბუქი და თოვა განუწყვეტლივ და უდიდესი სიძლიერით გრძელდებოდა მეორე დღესაც, ცხრაშიც, ათშიც, ოთხმეტშიც... მთამსვლელებისათვის შეუძლებელი შეიქნა კარვიდან გამოსვლა და ფეხზე გაჩერებაც კი. ამგვარად, უძლიერესი ქარბუქის ტყვეობაში მთამსვლელები დარჩნენ უშის უმაღლეს წვერზე, 4.701 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, 14 ნოემბრამდე, ე. ი. 7 დღე-ღამე.

უშბას არ ახსოვს, რომ ვინმე ერთ საათზე მეტ ხანს დარჩენილიყო მის მწვერვალზე. მეტისმეტად ძნელი იყო ეს ტყვეობა, მით უმეტეს, რომ იძულებული იყვნენ მკაცრი მომჭირნობით ეხარჯათ სურსათი. კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას მშრალი სპირტის გამოლევა, რაც მთამსვლელებს დასაღევი წყლის მისაღებად თოვლის გადნობის საშუალებას ართმევდა.

14 ნოემბერს ქარბუქი ცოტა ჩადგა. მთამსვლელებს დარჩენილი ჰქონდათ მხოლოდ 2 კილოგრამი ორცხობილა და მცირეოდენი სხვა სურსათი. ისარგებლეს ქარბუქის შეწყვეტებით და 14 ნოემბერს დაიწყეს ჩამოსვლა მწვერვალიდან იმავე გზით, რომლითაც ავიდნენ.

16 და 17 ნოემბერს ალპინისტები განაგრძობდნენ ძირს ჩასვლას და 17-ში უკვე დაღამებისას ჩავიდნენ გულის ყინვარზე, რომელიც უკვე დაფარული იყო ერთი მეტრის სიღრმე ახალი თოვლით. მაგრამ მთამსვლელები, მიუხედავად ძლიერი დაღლილობისა, შეუჩერებლად განაგრძობდნენ სვლას. 18 ნოემბერს დილის 4 საათზე ჩავიდნენ სოფელ გულში.

ბეჩოს მოსახლეობა გულმხურვალედ შეეგება მამაც მთამსვლელებს, რომლებმაც ზამთრის უმკაცრეს პირობებში გადალახეს უმაღალითო სიძნელენი და უშბაზე ავიდნენ.


## შ ი ნ ა ა რ ს ი

<p>თ. ჯანგულაშვილი — ბელადის სურათთან (ლექსი) . . . . . 1</p> <p>დ. შამათავა — შენ რადგან უშამდგომლობ! (მოთხრობა) . . . . . 2</p> <p>ს. კ. გილი — ექვსი წელი ვ. ი. ლენინთან (მოგონება) . . . . . 4</p> <p>ი. ხოშტარია — სიმღერა სამგორზე (ლექსი) . . . . . 8</p> <p>საბუკოთა ბავშვების დიდი მეგობარი (წერილი) . . . . . 9</p> <p>ლ. ქიქინაძე — ყოჩად, ზურა! (მოთხრობა) . . . . . 10</p> <p>მ. ლაზიშვილი — შურიანი ყორანი (იგავი) . . . . . 12</p> <p>შ. ამისულაშვილი — თიბვა (ლექსი) . . . . . 13</p> <p>ლ. მეგრელიძე — შორეულ სადგურზე (მოთხრობა) . . . . . 14</p> <p>ვ. გორგანელი — საყვარელ მერხთან (ლექსი) . . . . . 18</p> <p>მ. ლეჟავა — კარგი ქენი — წინ დაგხვდება (მოთხრობა) . . . . . 19</p>	<p>იხვი და მტრედი (იგავი) . . . . . 20</p> <p>ა. ლომიძე — მონადირის ნაამბობი . . . . . 21</p> <p>ა. ჯანაშვილი — გუგული (ნორჩი ნატურალისტის კუთხე) . . . . . 22</p> <p>ვ. უსურული — რუსთავი (ნარკვევი) . . . . . 23</p> <p>შ. თაბუკაშვილი — ანაბასი . . . . . 26</p> <p>ნ. შჩერბინოვსკი — ერაცის სამეფოში (ნარკვევი) . . . . . 27</p> <p>სტუმარი (იმერეთში გაგონილი იგავი) . . . . . 29</p> <p>რ. მარგიანი — შეიდი დღე-ღამე უშბის მწვერვალზე (ნარკვევი) . . . . . 30</p> <p>ზაფხული მოვიდა (მინიატიურა) გარეკანის შე-2 გვ. გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.</p> <p>გ. კაჭახიძე — უცნაური გაფრენა გარეკანის მე-4 გვ.</p>
---	--

გარეკანზე „ნორჩ მოგზაურთა ლაშქრობა“ ნახატი ა. გიგოლაშვილისა.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავზიშვილი, გ. კაჭახიძე (პ/მგ. რედაქტორი), ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

შე 02572 ტირაჟი 7000, გამომც. № 65, სტამბის შეკვეთა № 793, ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ საგემოვნო სამინისტროს ლითოგრაფიაში.



# გაგონების თეატრი

პასუხი ურნალ „პიონერის“ № 1-ში მოთავსებულ  
გასართობ გამოცანებზე


## პაროკროსპორდი

1. პირამიდა, 2. იანვარი, 3. თვალი, 4. ნაძვი,
5. ელბა, 6. რაისტავი, 7. ერეკლე, 8. ბაკურიანი,
9. ორატორი, 10. გაიღარი, 11. ინსტიტუტი, 12. ლე-
- სელიძე, 13. ცხრა, 14. ანაბა, 15. ვოლტი, 16. თხი-
- ლაჭური, 17. ხობა, 18. აზია, 19. ლენინგრადი, 20.
- წურწუშია, 21. ფეგელსი, 22. სკოლა.

აქედან: პიონერებო, გილოცავთ ახალ წელს!


## ამოცანა

მატარებლის მოძრაობის დროს ჩვენ გვესმის ვაგონის თვლებს თანაბარი რაყუნი. ეს რაყუნი ხდება, როდესაც თვალი რელსების შეერთების ადგილზე გადაივლის. მაშასადამე, საკმარისია დავთვალოთ რაყუნის რაოდენობა, რომ გავიგოთ რამდენი რელსი გაიარა მატარებელმა წუთში. რელსის სიგრძე ჩვეულებრივ 10 მეტრია. გაამრავლეთ რელსების რაოდენობა 10-ზე, შემდეგ 60-ზე და გაყავით 1000-ზე. მიიღებთ მატარებლის სიჩქარეს საათში კილომეტრებით გამოთვლილს.




ეს ძველი ხელნაწერი არ გეგონოთ. აქ დაწერილია პოეტ გიორგი ქუჩიშვილის ცნობილი ლექსის ერთი სტროფი. მოძებნეთ წაკითხვის ხერხი.

## ლაბირინთი



ლაბირინთის შუაში მოთავსებულია შენობა. მასში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ მიწიქვეშა გზებით. გვირაბების ქსელით, რომელნიც ზოგ ადგილას გადაღობილია. უნდა მოინახოს ისეთი გზა, რომელიც წინააღმდეგობას არ შეხვდება. გამოსვლა იმავე გზით არ შეიძლება, ვინაიდან, ვინც გადაბიჯებს გვირაბის შესავალს, მაშინათვე იგი თავისით იკეტება, გამოსვლა შეძლება მხოლოდ მხრიდან, როგორც სურათზეა ისრით ნაჩვენები. იპოვეთ შენობამდე მისასვლელი და შენობიდან წასასვლელი გზები.  
ქეთ. კორაშვილი


# უცნაური გაფრენა



1. ფერად-ფერადი ბუშტები იყიდა ცელქმა ზურამ, რომ შინ პატარა დაიკოს გაუნაწილოს ძმურად.




2. მიფრინავს, თითქოს შეისვა ლაღმა არწივმა ფრთაზე... რა შორს წასულა! დაჭყურებს ნავთის კოშკურებს თავზე. ზღვის პირად სახლებს ხედავს, რა ქალაქია ნეტავ?



3. შინსიკენ მიაჩქარებდა ბიჭს სიხარულის ტალღა, მაგრამ უეცრად ბუშტებმა ის აიტაცეს მაღლა;

სახლებს აშორდა, ხედავთ! რა ქალაქია, ნეტავ?



4. ქალაქს გაშორდა, ზღვას გასცდა, როგორც მფრინავი მაღლი... სხვა ზღვა გამოჩნდა, ზღვის შემდეგ უღაბნოს მოჰკრა თვალი.

გზაზე აქლემებს ხედავს, რა უღაბნოა, ნეტავ?

ლექსი ბ. ქაპანაძისა  
ნახატები პირადლოვისა და ქაპთარაძის